



საექსპერტო დასკვნა საქართველო 2015



Funded by
European Union
Civil Protection

საექსპერტო დასკვნა

საქართველო

2015

პროგრამა საექსპერტო დასკვნებისთვის 2015-2016 წლებში
სამოქალაქო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების
რისკების მართვის გეგმასთან დაკავშირებით ევროკავშირთან
ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში



Funded by
European Union
Civil Protection



პასუხისმგებლობის გამორიცხვა

ამ გამოცემაში აღწერილი ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის მათ ავტორებს და არ უნდა იქნას აღქმული ევროკომისიის ან ავტორთა ორგანიზაციების ოფიციალურ მოსაზრებად. არც ევროკომისია, არც ერთი ავტორი და არც ერთი პირი, რომელიც მოქმედებს მათი ინტერესების შესაბამისად არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ქვემოთ მოცემული ინფორმაციის სხვა პირების მხრიდან გამოყენებაზე.

გადამუშავება ნებადართულია წყაროს მითითების შემთხვევაში.

განსაკუთრებული მადლობა

ექსპერტების მიერ გამოყოფილი დრო და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ანგარიშის დასაწერად. საექსპერტო შეფასების გუნდი შედგებოდა ოთხი წევრისგან / ექსპერტისგან:

- **ვერონიკა კასარტელი**, ჰიდრო-გეოლოგიური და ადამიანის გამოწვეული რისკების ოფისი, ეროვნული პროგნოზის და მონიტორინგის ცენტრი, ეროვნული სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი, იტალია
- **მილან ერჯავეც**, 112-ის დეპარტამენტი, ეროვნული დაცვისა და გადარჩენის დირექტორატი, ხორვატია
- **დოროტა ლედუჩოვსკა**, რისკის შეფასების და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანო, სამთავრობო უსაფრთხოების ცენტრი, პოლონეთი
- **ბერნდ ნოგელერი**, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფების თავიდან არიდების დეპარტამენტი, ტიროლის პროვინციის მთავრობა, ავსტრია

მისიის დროს ევროპის კომისია წარმოდგენილი იყო რობერტო სკილიროს მიერ, ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო უსაფრთხოების ევროკომისიის გენერალური დირექტორატიდან, ლაურა შმიდტის მიერ, ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის ევროკომისიის გენერალური დირექტორატიდან, რომელმაც დახმარება და წინამძღოლობა უზრუნველყო ჯერ კიდევ ბრუსელში. კომისიას საექსპერტო შეფასების პროგრამის სრულყოფაში ეხმარებოდა კონსორციუმი ფალკ ბ.ვ-ს მეთაურობით. საქართველოსთვის საპროექტო ჯგუფი შეიქმნა კონსორციუმის პარტნიორის უსაფრთხო რეგიონ სამხრეთ ჰოლანდია სამხრეთის წარმომადგენელ ნიკო ვან ოსსის, რულდ ჰოუდიჯკის და ფალკის წარმომადგენელ ჯენს პოულ მედსენის მიერ.

საექსპერტო შეფასების პროექტის მომზადებას ხელი შეუწყო ყველა გამოკითხულმა პასუხისმგებელმა უწყებამ და მათმა თანამშრომლობამ პროექტისთვის მონაცემების და ინფორმაციის შეგროვებაში. პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სამსახურის წარმომადგენლების, ბესარიონ დათიშვილისა და ანასტასია ზურაბიშვილის სრული თავდადებას გარეშე.

საექსპერტო კვლევა დაფინანსდა ევროპის კომისიის მიერ. კომისიამ ასევე უზრუნველყო ფინანსური ხელშეწყობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მაღალი ხარისხის რისკების ფორუმზე.

სარჩევი

შესავალი	11
საექსპერტო შეფასების სფერო	12
ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები	13
1. რისკის შეფასება	16
1.1 ფარგლები, კოორდინაცია და პასუხისმგებელ უწყებათა ჩართულობა	16
1.2 რისკების შეფასების მეთოდოლოგია	21
1.3 ინფორმაცია და კომუნიკაცია	23
1.4 ექსპერტიზა	25
1.5 ინფრასტრუქტურა რისკების შეფასებისთვის	26
1.6 რისკების შეფასების დაფინანსება	27
2. რისკების მართვის პროცესების ინტერფეისი	28
3. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება	33
4. ადრეული შეტყობინება	35
4.1 საფრთხეების მონიტორინგი და გამოვლენა	35
4.2 განგაში	38
4.3 ადრეული შეტყობინების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის დაგეგმვა	42
დანართი I ტერმინოლოგია და აბრევიატურები	43
დანართი II პასუხისმგებელ უწყებათა მიმოხილვა	46
დანართი III დოკუმენტაციის ჩამონათვალი	47
დანართი IV თემატური მიმოხილვის ფარგლები	47

შესავალი

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სახელმძღვანელო მექანიზმს, რომელშიც კონკრეტული სახელმწიფოს (შემდეგში „სახელმწიფო“) კატასტროფების რისკების მართვის სისტემა შეისწავლება სხვა ქვეყნების წარმომადგენელი ექსპერტების („პერების“) მიერ. სამოქალაქო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების რისკების მართვის გეგმის ევროკავშირის პროგრამა საექსპერტო დასკვნებისთვის შეიქმნა ორი წარმატებული საპილოტე პროგრამის შედეგად, რომლებიც განხორციელდა დიდ ბრიტანეთსა (2012) და ფინეთში (2013) ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და გაეროს საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების პროგრამასთან (UNISDR) ერთად.

ევროკავშირის საექსპერტო დასკვნების პროგრამა მიზნად ისახავს წარმატებული პრაქტიკის გაცვლის ხელშეწყობას ქვეყნებს შორის და რეკომენდაციების გაცემას საგანგებო სიტუაციების მართვის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად განხილულ სახელმწიფოებში. პროგრამა ხელს უწყობს ურთიერთშესწავლას და პოლიტიკურ დიალოგს როგორც ქვეყნის შიდა დონეზე, ასევე სახელმწიფოთა და სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტებს შორის.

2015 წლის თებერვალში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა (MENRP) გამოხატა დაინტერესება რისკების შეფასების და ადრეული შეტყობინებისთვის თემატური საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად. საქართველომ მონაწილეობა მიიღო მეორე საპილოტე საექსპერტო დასკვნის პროგრამაში ფინეთში და მიიჩნია, რომ ის გახლდათ შესანიშნავი საშუალება ტექნიკური მხარდაჭერისათვის, რადგან პროგრამა ეხებოდა როგორც სენდაის ჩარჩო პროგრამის პრიორიტეტებს, ასევე ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის პოლიტიკას. საქართველომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პოლიტიკური რეკომენდაციები დიდად მომგებიანი იქნებოდა და ქვეყანას საშუალებას მისცემდა ეროვნული პოლიტიკა და პრაქტიკა გაეფართოვებინა, ამასთან ერთად, საქართველომ იმედოვნა რომ წვლილს შეიტანდა და სარგებელს მიიღებდა ურთიერთშესწავლიდან. მას შემდეგ, რაც 2014 წელს საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, საექსპერტო დასკვნა ასევე ხელს შეუწყობდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის აღმოსავლური პარტნიორობის ფარგლებში.

საექსპერტო დასკვნის მისია შედგა 2015 წლის 23 ნოემბრიდან 27 ნოემბრის შუალედში, 5 დღის განმავლობაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ოთხი ექსპერტი ხორვატიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან და პოლონეთიდან, მონაწილეობას იღებდა საექსპერტო დასკვნის შექმნაში, ევროკომისიისა და საორგანიზაციო ჯგუფის მხარდაჭერით. ამ პერიოდის განმავლობაში 50-ზე პასუხისმგებელმა მხარემ სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მათ შორის ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი სამთავროებო ორგანოებიდან და უწყებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (NGO-ებიდან) და აკადემიებიდან მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვებში. ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (MENRP), საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში (EMA), გარემოს ეროვნული სააგენტოში (NEA), გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ოფისში (UNDP), 112-ის საგანგებო სიტუაციების თბილისის განყოფილებაში და ყვარლის მუნიციპალიტეტში. ქალაქგარეთ გასვლითი ინტერვიუ ჩატარდა ყვარელში, მდინარე დურუჯზე დამონტაჟებული ადრეული შეტყობინების სისტემის სანახავად.

განსხვავებული ისტორიის, გამოცდილების და მოვალეობების მქონე პირების შეკრებით საექსპერტო დასკვნის მისიამ მიაღწია საქართველოში „აბარ დასახულ მიზანს: რისკების შეფასების შესახებ ცოდნის გაზიარებაა და ამ სფეროში პასუხისმგებელ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

საექსპერტო დასკვნის ანგარიში შეესაბამება 2014 წლის UNDP-ის საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების შესაძლებლობის შეფასების შესახებ ანგარიშს, რომელიც ასევე ითვალისწინებს რისკების შეფასებას. საექსპერტო დასკვნის მისია მიზნად ისახავდა დამატებითი კარგი პრაქტიკების და გასაუმჯობესებელი სფეროების მოძიებას ევროკავშირის საექსპერტო დასკვნის საკითხთა ფარგლებში.

ეს ანგარიში წარმოადგენს საქართველოში, 2015 წლის ნოემბერში არსებული სიტუაციის ანალიზს და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები მხედველობაში მიღებული არა. გარდა ამისა, ექსპერტებს არ ჰქონდათ პირდაპირი წვდომა ეროვნული საფრთხეების შეფასების დოკუმენტთან, რადგან მას გრიფით საიდუმლო ადევს. აღნიშნულ ანგარიშში მსჯელობა დაფუძნებულია პასუხისმგებელი უწყებებიდან შეგროვებულ ინფორმაციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიში უმეტესწილად მიმართულია ჰიდრო-მეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ საფრთხეებზე საქართველოში. დროის სიმცირის გამო ვერ მოხდა სეისმური მონიტორინგის ცენტრთან და სხვა ინსტიტუტებთან შეხვედრა, რომლებიც ამ საფრთხეზე მუშაობენ. თუმცა, ეს ინფორმაცია მოიპოვებოდა უმეტესობა იმ დოკუმენტებში, რომლებიც ექსპერტებმა მიიღეს დასკვნის მომზადების პროცესში.

საექსპერტო შეფასების სფერო

საქართველოს საექსპერტო დასკვნა მიმართული იყო რისკების შეფასების და დამატებით, ადრეული შეტყობინების თემის განხილვისკენ. ის ეფუძნებოდა რისკების შეფასების თემატურ ჩარჩოს, დამატებითი მიზნით - 'ადრეული შეტყობინება' საექსპერტო დასკვნის ზოგადი ჩარჩოდან. ეს თემები ერთიანობაში შეესაბამებიან ჰიოგოს 2005-2015 წლების სამოქმედო ჩარჩოს მეორე პრიორიტეტს.

„რისკის“ განმარტება საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით შეესაბამება ევროპულ გაიდლაინებს (კომისიის თანამშრომლების სამუშაო დოკუმენტი - რისკის შეფასება და რუკის გაიდლაინები ბუნებრივი კატასტროფების მენეჯმენტში)¹, სადაც რისკი განმარტებულია როგორც რაიმე მოვლენის შედეგების ერთიანობა და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელობა. შედეგებმა შეიძლება გავლენა იქონიონ ადამიანების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და საკუთრებაზე, ისევე როგორც გარემოზე. საქართველოს კანონმდებლობაში. რისკი ხანდახან მოიხსნიება როგორც საგანგებო სიტუაციის რისკი.

რისკის შეფასებასთან დაკავშირებით - „საფრთხის შეფასება,“ როგორც მას უწოდებს ევროკავშირი, ISO და UNISDR,² საქართველოში ხანდახან წარმოდგენილია რისკის შეფასებად. სხვა მხრივ, ეროვნული საფრთხის შეფასების დოკუმენტი არ მიიჩნევა რისკის შეფასებად საქართველოში, თუმცა ის შეიძლება იყოს მიჩნეული ასეთად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

¹https://ec.europa.eu/echo/files/about/COMM_PDF_SEC_2010_1626_F_staff_working_document_en.pdf

²<https://www.unisdr.org/we/inform/terminology>

საგანგებო სიტუაცია გაგებულია, როგორც კრიზისული მდგომარეობა შექმნილი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ორგანიზაციებში, რასაც მოყვება პოპულაციის ნორმალური საცხოვრებელი პირობების ცვლილება, რაც გამოწვეულია კატასტროფით, დიდი ინდუსტრიული შემთხვევებით, ცეცხლით, ბუნებრივი მოვლენებით, ეპიდემიით, ეპიზოთით, ეპიფიტოთი ან ომის გავლენით, და რომელიც საშიშროებას უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საშიშროება მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, და იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს დიდი მსხვერპლი, ადამიანთა დაზიანებების ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. განიმარტება ძალიან ჰგავს „კატასტროფის“ განმარტებას, რომელიც მოცემული გაერთიანებული სამოქალაქო უშიშროების მექანიზმის გადაწყვეტილებაში.³

ანგარიშში გამოყენებული განმარტებები ეფუძნება ევროკავშირის კანონმდებლობას და გაიდლაინებს, ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოყენებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტოს (შემდგომში „UNISDR“) განმარტებები. განმარტებების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ გაიდლაინის დანართში. როდესაც ხდება პირდაპირ საქართველოს კანონმდებლობიდან ან სხვა დოკუმენტებიდან ციტირება, სადაც გამოყენებულია განსხვავებული ტერმინოლოგია, ამ შემთხვევაში გამოიყენება ქართული ტერმინოლოგია.

ანგარიშში განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და ადგენს ტერიტორიებს განსავითარებლად და გვთავაზობს რეკომენდაციების სერიას სხვადასხვა მიზნების მისაღწევად. საქართველოს მთავრობაზე და დაინტერესებულ მხარეებზე დამოკიდებული იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოხდება ამ ანგარიშის საუკეთესო ინტერესების და მათ მიზნების მისაღწევად გამოყენება მოქნილ საზოგადოებრივ სივრცეში და განვითარებულ ეროვნული პოლიტიკაში.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს რისკის შეფასების სისტემას გააჩნია მყარი საფუძველი კანონმდებლობაში და ის მოიცავს დიდი ოდენობით დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ხელს უწყობენ რისკის შეფასების სრულყოფას და იღებენ მონაწილეობას რისკების მართვის დაგეგმვაში.

ეფექტური პრაქტიკა:

- საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს დიდი სურვილი აქვთ, რომ განავითარონ თავიანთი სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა.
- საქართველოს აქვს ძლიერი საკანონმდებლო ბაზისი რისკის შეფასებისთვის, რაც უზრუნველყოფს განმარტებების სიჭარბეს და აკისრებს ძირითად სამინისტროებს რიგ პასუხისმგებლობებს. ეს არის კარგი ბაზისი კოორდინაციისთვის.
- ბევრი მაღალი დონის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი და სხვადასხვა ასაკის ექსპერტია რისკის შეფასების სფეროში.
- რისკის ატლასი, მისი ვებ პორტალის ჩათვლით წარმოადგენს არსებული ცოდნის გაზიარების კარგ მაგალითს.
- NEA-ს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენი არის ძალიან საჭირო ინსტრუმენტი. ერთ დოკუმენტში გაერთიანებული საფრთხეების და პრიორიტეტული რისკის შემცირების მექანიზმების გაერთიანება არის საჭირო და

³<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32013D1313>

გამოსადეგი როგორც მთავრობისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული ეროვნული და ადგილობრივი მხარეებისთვის.

- საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი ICT ექსპერტი და აქვს ძალიან დიდი ცოდნა იმისთვის, რომ განავითაროს და გამოიყენოს საკუთარი მონიტორინგის და ანალიზის სისტემები.
- კარგი მიდგომაა ქართული ქსელის შექმნა ადრეული შეტყობინების სისტემისთვის, რომელიც დააკავშირებს არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და იდეებს.

ძირითადი რეკომენდაციები რისკის შემცირებისთვის :

- გააძლიერეთ ერთიანი კოორდინაცია რისკის შეფასების პროცესში, იმისთვის, რომ უზრუნველყოთ განსხვავებული საშიშროებების, რისკის და საფრთხის შეფასებების შეთანხმებულობა და განავითარეთ ნათელი გაიდლაინები სხვადასხვა კოორდინატორებისთვის (EMA, SSCMC, და NEA). განსაზღვრეთ ნათლად როგორ შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივი რისკის შეფასება ეროვნული რისკის შეფასებას და პირიქით, და უზრუნველყავით მონაცემთა გაცვლა მათ შორის. შექმენით ნათელი სექტორთაშორისი კავშირები 17 ფუნქციას შორის.
- დაიწყეთ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაცია, მაგალითად ცნობადობის გაზრდა ვორქშოფების მოწყობით ექსპერტებისთვის სხვადასხვა სამინისტროებიდან, რომლებიც მოხსენიებულია კანონმდებლობაში.
- განავითარეთ უფრო მეტად სისტემური კოოპერაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ისეთებთან როგორცაა კერძო სექტორი და აკადემია. გააძლიერეთ კოლაბორაცია და მონაცემთა გაცვლა მეზობელ ქვეყნებთან რისკის შეფასების კუთხით.
- პრიორიტეტული გახადეთ დადგენილების შექმნა რისკის შეფასების შექმნის შესახებ. დაუკავშირეთ მას საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და სახელმწიფო უშიშროების და კრიზისის მართვის საბჭოს მეთოდოლოგიები. ასევე, განავითარეთ სექტორული რისკის შეფასება და კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის ისეთ პოლიტიკას, როგორცაა ევროკავშირის წყალდიდობის და სევესოს დირექტივები.
- დააწესეთ რისკის რეგისტრაცია. სისტემურად ჩაწერეთ და გააზიარეთ კატასტროფის მიერ მიყენებული ზარალი და მონაცემთა ბაზები, რომ ხელი შეუწყოს რისკის შეფასებას. უფრო მეტად განავრცეთ მონაცემთა გაცვლა და გაზიარება სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის დუპლიკაციების ასაცილებლად. გამოიყენეთ არსებული ინტერნაციონალური გაიდლაინები მონაცემთა შეგროვების და გაზიარების პოლიტიკის განსაზღვრებად. განავითარეთ GIS რუკები ყველა ძირითადი ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეებისთვის. დააწესეთ ეროვნული GIS/ გეო-ინფორმაციის სტრუქტურა/ ქსელი. გამოიყენეთ რჩეული უფრო მეტად ეფექტური ICT სისტემები სტანდარტებად.
- გამოიყენეთ ევროკავშირის და გაეროს პროგრამები მომავალი ექსპერტიზების განსაზღვრებად.
- განავითარეთ ფინანსური რესურსების განაწილების პოლიტიკა რისკის შეფასებისთვის, როგორც სექტორულ დონეზე ასევე ეროვნულ კატასტროფის მიერ გამოწვეული რისკის შემცირების სტრატეგიისთვის. ზუსტად განსაზღვრეთ, თუ როგორ მოხდება ფინანსების განაწილება კვლევებისა და განვითარებისთვის.
- განავითარეთ პროცედურები და მეთოდოლოგიები (უკეთესია თუ ეს მოხდება კანონმდებლობის შექმნის დონეზე) რისკის შეფასების შედეგებისა და რისკის შეფასებას შორის კავშირისთვის. განავითარეთ კავშირი მიწის გამოყენებასა და რისკის შეფასებას

შორის. განსაზღვრეთ თუ როგორ უკავშირდება რისკის შეფასება კლიმატის ცვლილების სტრატეგიას.

- განსაზღვრეთ ნათელი პროცედურები მოგება - ზარალის ანალიზისთვის ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე არსებული საშიშროებისთვის მიღებული სივრცითი ზომებისთვის.
- შექმნით და განავითარეთ კანონმდებლობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისთვის, ისე რომ გაწერილი იყოს ზუსტი პასუხისმგებლობები საზოგადოების სტაბილურობის შენარჩუნებისთვის კრიტიკული ინფრასტრუქტურის კუთხით.
- უფრო მეტად გამჭვირვალე გახადეთ რისკის შეფასება და დადგენილი პოტენციური რისკი. მხედველობაში მიიღეთ რისკთან დაკავშირებული კომუნიკაციები თითოეულ 17 ფუნქციასთან მიმართულ ეროვნული სამოქმედო გეგმაში. გამოიკვლიეთ ინტერნეტის და სოციალური მედიის გამოყენება რისკის კომუნიკაციისთვის.
- უფრო მეტად განავითარეთ რისკის შემცირების სტრატეგია არსებული რისკის შემცირების სასწავლო პროგრამის კარგი ბაზისის გამოყენებით.
- განსაზღვრეთ საზოგადო კონსულტაციის პოლიტიკა შეფასებისთვის და გეგმისთვის, სხვადასხვა საშიშროების და დონის საფრთხესთან მიმართებით.
- განავითარეთ ძირითადი ადრეული გაფრთხილების სისტემის ქსელური სადგურები და განავითარეთ GIS რუკები მთლიანი ტერიტორიისთვის, როგორც საშიშროების მონიტორინგის მნიშვნელოვანი ბაზისი. გამოიყენეთ ერთი ვებ პლატფორმა მიმდინარე და სტატიკური მონაცემების გასაზიარებლად.
- განავითარეთ ეროვნული რეგულაციები განგაშისთვის, იმისთვის, რომ შექმნათ ზოგადი და ადრეული შეტყობინების და განგაშის სისტემის ტექნიკური მოთხოვნების სტანდარტები.
- გამოიყენეთ დამატებითი საკომუნიკაციო ინსტრუმენტები შეტყობინებების გასავრცელებლად საზოგადოებაში (მაგალითად მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემა და სოციალური მედია)
- დაამუშავეთ, მიიღეთ და გაავრცელეთ გაიდლაინები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნას გადახედილი საგანგებო სიტუაციების გეგმები ადგილობრივ დონეზე. გაუზიარეთ მუნიციპალიტეტებს საუკეთესო პრაქტიკები მზადყოფნისთვის.

1. რისკის შეფასება

მიზნები 1 და 4: ეროვნული, რეგიონალური, ადგილობრივი, სასაზღვრო და სექტორული რისკის შეფასების შეთანხმებული სისტემა არის განვითარებული და გამოყენებული იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას რისკების შესახებ ინფორმირებულობა განხილულ სახელმწიფოში ყველა სამთავრობო დონეზე და კერძო სექტორში. ყველა ადმინისტრაციული, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობა არსებობს იმისთვის, რომ განხორციელდეს და განახლდეს რისკის შეფასება.

1.1 ფარგლები, კოორდინაცია და დაინტერესებულ პირთა ჩართულობა

საქართველოში არსებობს ორი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებს: 2015 წლის კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის გეგმარებაზე და კოორდინაციაზე⁴ და 2014 წლის კანონი სამოქალაქო უსაფრთხოებაზე⁵. ვინაიდან, ორივე მათგანი წარმოადგენს ახალ საკანონმდებლო ცვლილებას, ამ აქტებიდან გამომდინარე არსებული მოთხოვნები ჯერ სრულად არ არის დაკმაყოფილებული. მაგალითად, რისკის შეფასების გადახედვის პროცედურები და პასუხისმგებლობათა ჩამონათვალი ჯერ კიდევ გასაწერია კანონქვემდებარე აქტებსა და ბრძანებებში.

საჯარო უსაფრთხოების შესახებ კანონი ადგენს ერთიან საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემას. ერთიანი სისტემა პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციის პრევენციისთვის, მზადყოფნისთვის, სწრაფი რეაგირებისთვის და აღდგენითი ღონისძიებებისთვის. კანონი აწესებს ვალდებულებებს საგანგებო სიტუაციების რისკის შეფასებისთვის და საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმისთვის ყველა იმ სამთავრობო სტრუქტურის და პირების მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ერთიან საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემაში. კანონის შესაბამისად, არა მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები არიან პასუხისმგებელი სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, არამედ ზოგად საჯარო და არა სამთავრობო ორგანიზაციებსაც აკისრიათ თავიანთი როლი. კანონის მიზანს წარმოადგენს ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების დაცვა და ის ნათლად ადგენს, რომ ყველა ეკონომიკურად გამართლებული ზომა უნდა იქნას მიღებული საგანგებო სიტუაციების რისკის შესამცირებლად.

კანონი ასევე მოიცავს რისკის შეფასების შემდეგ დეფინიციას: „*პოტენციური საფრთხის ანალიზისა და არსებული მოწყვლადობის შეფასებით მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ხასიათისა და მასშტაბის, საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისა და შედეგების მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესი.*“ საგანგებო სიტუაციების სააგენტო პასუხისმგებელია მეთოდოლოგიური რეკომენდაციების მომზადებაზე რისკის შესაფასებლად, მათ შორის პოტენციური საფრთხეების და საგანგებო სიტუაციების რისკების. არ არსებობს კონკრეტული ვადა რისკის შეფასების პროცესისთვის, არც გაიღლიანი თუ რამდენად ხშირად უნდა მოხდეს მისი განახლება.

რისკის შეფასების როლი საერთო კატასტროფებით გამოწვეული რიგსკის მართვაში არ არის ზუსტად დაკონკრეტებული კანონმდებლობის დონეზე. ამის მიზეზს უმეტეს წილად

⁴<https://matsne.gov.ge/ru/document/download/2764463/1/en/pdf>

⁵<https://matsne.gov.ge/en/document/view/2363013>

წარმოადგენს ის, რომ კანონმდებლობა არ აღწერს თუ როგორ უნდა მოხდეს რისკის შეფასების გამოყენება სხვადასხვა სექტორში, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ქმედებებისთვის (მაგალითად, მიწის გამოყენების დაგეგმარებაში). საქართველოში რისკის შეფასება ფოკუსირდება კონკრეტული რისკის შეფასებაზე და არა რამდენიმე განსხვავებული საფრთხის ერთობლივად შეფასებაზე, თუმცა არის რამდენიმე ეროვნული დონის აქტივობა, რომლებიც შეიცავენ მსგავსი სახის პროცესების ელემენტებს.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც მიზნულია გარემოს დაცვის სამინისტროზე, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს საფრთხეების იდენტიფიცირებაში. სააგენტო პასუხისმგებელია ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგზე (მაგალითად წყალდიდობა და მეწყერი). ის ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს (ე.წ. საინფორმაციო ბიულეტენებს) სხვა სამთავრობო ორგანიზაციებისთვის ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ამ ბიულეტენების მოსამზადებლად სააგენტო აგზავნის ჯგუფებს, რომ შეისწავლონ ადგილობრივი გარემო პირობები ყველა რეგიონებში.

ბიულეტენები შეიცავს რეკომენდაციებს საჯარო დაწესებულებებისთვის, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მომზადება სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციებისთვის და რა უნდა გაკეთდეს მათი თვიდან ასარიდებლად. თუმცა, დოკუმენტი გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებში, როგორც საგანგებო სიტუაციების და რისკის მენეჯმენტის დაგეგმვის საფუძველი.

მეტიც, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ამზადებს შესაბამის GIS ფორმატის რუკებს. საქართველოს ტერიტორიის 50% არის დაფარული საფრთხის და რისკის რუკებით. ძლიან დიდი ნაწილი ამ რუკებისა მომზადებულ იქნა ბილატერული და ინტერნაციონალური ურთიერთთანამშრომლობის პროექტებზე დაფუძნებით. მაგალითად, წყალდიდობის რისკის რუკები მომზადებულ იქნა ისტორიული მონაცემების საფუძველზე 60 წლის განმავლობაში და 2 000-ზე მეტი ქართული ანგარიშის საფუძველზე. შედეგად, საქართველოს ტერიტორია გაყოფილ იქნა გეოლოგიური საშიშროების ზონებად სხვადასხვა რისკის დონეების მიხედვით, მცირედან დაწყებული უმაღლესი დონის რისკებამდე.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს საფრთხის ანალიზები ეგზავნება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, რომელიც ახორციელებს ზარალის ანალიზს. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ადგენს თუ რამდენი ადამიანი შეიძლება იქნას დაზარალებული და რა შეიძლება იყოს ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული პოტენციური ზიანი. გაერთიანებული საშიშროების და ზარალის ანალიზები ხელს უწყობს რისკის შეფასებას.

რისკის შეფასება ხორციელდება სამინისტროების დონეზე. და დაფუძნებულია სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონზე, ბუნებრივი და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონზე და ის ადგენს 17 ფუნქციას ან რისკებს და დაკავშირებულ რისკის შეფასების ქმედებებს. თითოეული ფუნქცია ევალუა სხვადასხვა წამყვან სამინისტროს რისკის შეფასების პროექტის მომზადების პროცესში (იხ. ნახაზი 1).

ეროვნული გეგმა სამოქალაქო უსაფრთხოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით
ფუნქცია 1 – საგანგებო სიტუაციების მართვა (მმართველი: საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო)
ფუნქცია 2 – საკომუნიკაციო აქტივობები (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)
ფუნქცია 3 – ხალხის ევაკუაციის, ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადის მართვის აქტივობები (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო)

ფუნქცია 4 – რეაგირება (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო)
 ფუნქცია 5 – ტრანსპორტირება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მდებარე სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო)
 ფუნქცია 6 – სამედიცინო დახმარება (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო)
 ფუნქცია 7 – მხარდაჭერა დაზარალებულ სახელმწიფოს, დიპლომატიური პროტოკოლი და საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარება (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)
 ფუნქცია 8 – სატყეო ხანძარი და ხანძრის პრევენციის ზომები (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო);
 ფუნქცია 9 – ენერჯით მომარაგება (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო)
 ფუნქცია 10 – ფლორის და ფაუნის დაცვა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო)
 ფუნქცია 11 – ქიმიური და რადიოლოგიური უსაფრთხოება (საქართველოს გარემოსდაცვის სამინისტრო)
 ფუნქცია 12 – ტექნიკური - მატერიალური დახმარება (შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რესურსები)
 ფუნქცია 13 – კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაცია (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო)
 ფუნქცია 14 – საზოგადოებრივი წესრიგი და მატერიალური ღირებულებები (შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი)
 ფუნქცია 15 – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის ტრანსპორტირება (საავტომობილო გზების დეპარტამენტი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო)
 ფუნქცია 16 – სასმელი და საკვები (საქართველოს სოფლისმეურნეობის სამინისტრო)
 ფუნქცია 17 – ადდენითი სამუშაოები საგანგებო სიტუაციების ლოკაციებზე (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო)

ნახაზი 1 - სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ეროვნული გეგმის ფუნქციები

წამყვანი სამინისტრო მუშაობს კანონში ჩამოთვლილ ყველა სამინისტროსთან / სააგენტოსთან კოორდინაციით, იმისთვის, რომ მოხდეს რისკის შეფასება სამინისტროს შიდა სამუშაო ჯგუფების მიერ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს აკისრია ერთიანი კოორდინაციის ვალდებულება საგანგებო სიტუაციების მართვისას (ფუნქცია 1). ეროვნული გეგმა სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოიცავს დიდი ოდენობით საჯარო ორგანოებს (სამინისტროებს, სააგენტოებს, საბჭოებს, ცენტრებს, უწყებებს და სხვა) და არასამთავრობო ორგანიზაციებს. საქართველოს წითელი ჯვარი არის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის დამხმარე როლს ასრულებს მეოთხე, მეექვსე და მეთექვსმეტე ფუნქციებში.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება კოორდინატორის როლს ასრულებს. მისი მიზანია კატასტროფების მართვის სექტორში ჩართული არა-სახელმწიფო აქტორების კოორდინირების გაუმჯობესება. ოფიციალური დოკუმენტების დიდი ოდენობიდან გამომდინარე (კანონები, კანონქვემდებარე აქტები, გეგმები, ბრძანებები და რეგულაციები), რომლებიც აღწერენ გატარებულ აქტივობებს და კომპეტენციებს საგანგებო სიტუაციებში, კონკრეტული როლი და კომპეტენცია თითოეული ორგანოს შემთხვევაში არის რთული დასადგენი, ასევე იმ მიზეზითაც, რომ ეს დამოკიდებულია საფრთხის დონეზეც, დაზარალებულ ტერიტორიაზე (ადგილობრივი, რეგიონალური ან ეროვნული დონე) და საქმიანობის ბუნებაზე (სტრატეგიული, ტაქტიკური ან ადმინისტრაციული). მიუხედავად იმისა, რომ 17 ფუნქცია ადგენს საკოორდინაციო როლებს, არ არის განმარტებული თუ როგორ ხდება სხვადასხვა ფუნქციის ერთმანეთზე დამოკიდებულების გათვალისწინება სხვადასხვა სექტორული რისკის შეფასებისას.

საფრთხის რისკის შეფასების პროცესებთან ერთად, ასევე არსებობს ეროვნული საფრთხის შეფასება, რომელიც პირველად შემუშავდა 2005 წელს და მისი განახლება მოხდა 2015 წელს. საქართველოს ბუნებრივი უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმარების და კოორდინაციის შესახებ კანონის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭო

არის პასუხისმგებელი მის მომზადებაზე. საბჭოს ერთ-ერთ დავალებას წარმოადგენს „ ისეთი შიდა და გარე საფრთხეების და რისკების თვიდან აცილების, პრევენციის და პროგნოზის განვითარების და იმპლემენტაციის კოორდინაცია, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს ფუნდამენტურ სახელმწიფო ინტერესებს“.

საფრთხის შეფასება უნდა ახდენდეს სამხედრო, საგარეო პოლიტიკის, შიდა პოლიტიკის, ტრანსნაციონალური, სოციალური და ეკონომიკური, ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეების და გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომლებიც ქმნიან მნიშვნელოვან საფრთხეს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ეს საქართველოს მთავრობის მიერ დადასტურებულია. საფრთხის შეფასებას აქვს რისკის შეფასების ელემენტები; მაგალითად, მოსალოდნელი საფრთხის შესაძლებლობებიც და შედეგებიც არის დადგენილი. საფრთხის შეფასება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ახლდება და წარმოადგენს საიდუმლო დოკუმენტაციას (გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს საფრთხის შეფასებისგან განსხვავებით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია).

დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ძალიან ბევრმა განსხვავებული დაინტერესებული მხარეების სამუშაო ჯგუფმა. მაგალითად ამ ჯგუფებიდან ორი მხოლოდ ქიმიურ საფრთხეებსა და რადიაციულ საფრთხეებზე მუშაობდა. თითოეული ამ ჯგუფებიდან შედგებოდა სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენელი დაახლოებით 15 წევრისგან. ატომური საფრთხეებზე მომუშავე ჯგუფი შედგებოდა სახელმწიფო უშიშროების საბჭოს, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების და საბაჟოს წარმომადგენლებისგან, მაშინ როდესაც ქიმიურ საფრთხეებზე მომუშავე ჯგუფის წევრები იყვნენ გარემოს დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. ყველა დაინტერესებულ მხარეს მოეთხოვა ერთი და იმავე მეთოდოლოგიის გამოყენება მოსალოდნელი საფრთხეების შესაფასებლად და წარმოსადგენად. ბირთვული საფრთხეების სამუშაო ჯგუფმა დაადგინა საფრთხეების სამი ვარიანტი: ბირთვული მასალების გადაზიდვა, ბირთვული ნარჩენების შენახვა და სომხეთის ატომური ელექტროსადგური. ქიმიური საფრთხეების სამუშაო ჯგუფმა დაადგინა რამდენიმე საშიშროება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ქიმიურ დანადგარებს საქართველოში, რომლებმაც შეიძლება შეუქმნან საფრთხე საზოგადოებას, გარემოს და ეკონომიკას. მათ იმუშავეს სხვადასხვა კომპანიების გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული სიების საფუძველზე, რომლებსაც შეეხება აქვთ საშიშ ნივთიერებებთან. სამომავლოდ, კერძო სექტორის დაინტერესებული პირებიც შესაძლოა ჩაერთონ სამუშაო ჯგუფებში პირდაპირ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სამინისტროების მიერ უნდა მოხდეს რისკის შეფასება, შიდა სექტორული რისკების გადაფარვა სრულად არ შედის რისკის შეფასებაში. ეს ძალიან მცირედი ცნობადობაა მთლიანი რისკის შეფასების პროცესისთვის, რომელშიც ამდენი დაინტერესებული მხარე მონაწილეობს და რომლებიც ძირითადად მომართულნი არიან არა რისკის პრევენციაზე არამედ სწრაფ რეაგირებაზე.

რისკის შეფასებაში არ არიან ჩართული მეზობელი ქვეყნები და მათი რისკის შეფასებების მხედველობაში მიღება არ ხდება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან საქართველოს აქვს მოსაზღვრე მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტეროტორიაზე მდებარე სამი ოლქი აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან.

ეფექტური პრაქტიკა:

- საქართველოს გააჩნია ძლიერი საკანონმდებლო ბაზისი რისკის შეფასებისთვის, განმარტებების შემუშავებისთვის და დავალებების დაწესებისთვის ფუნქციების შესაბამისად, ისევე როგორც პასუხისმგებლობების სამინისტროებისთვის გადანაწილებისთვის.
- სამინისტროთაშორისო სამუშაო ჯგუფები მონაწილეობენ საფრთხის შეფასებაში.
- ადგილობრივი და რეგიონალური უწყებების: საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადგილობრივი დანაყოფების, სახანძრო ბრიგადების და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დახმარება რისკის შეფასებისა და რისკის მენეჯმენტის პროცესში, მაგალითად ყვარლის საევაკუაციო გეგმა.

რეკომენდაცია:

- ერთიანი კოორდინაციის გაძლიერება რისკის შეფასების პროცესში, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა საფრთხეების, რისკის და საშიშროებების შეფასებების ურთიერთ შეთანხმება.
- მკვეთრად განმსაზღვრელი გაიდლაინების შემუშავება სხვადასხვა კოორდინატორებისთვის (EMA, SSCMC, და NEA) რისკის შეფასების პროცესში, იმისთვის რომ სისტემური მიდგომა იყოს უზრუნველყოფილი.
- სექტორებს შორის ურთიერთშეთანხმების ხელშეწყობა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ეკავოს ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების პლათფორმას. უფრო მეტიც 17 ფუნქციას შორის კავშირი შესაძლებელია უფრო დეტალურად იქნას გაწერილი. თითოეული უწყებისთვის შემუშავდეს პროფილები როლის, პასუხისმგებლობების, არსებული მონაცემების და ამ აღწერასთან ერთად, იმისთვის, რომ თავიდან აირიდოთ ინფორმაციის გადაფარვა და პასუხისმგებლობების და დავალებების დუბლიკაცია. ასევე უფრო მეტი სისტემური ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება კერძო სექტორთან და აკადემიებთან არის შესაძლებელი
- დაიწყეთ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაცია, მაგალითად ცნობადობის გაზრდა ვორქშოფების მოწყობით ექსპერტებისთვის სხვადასხვა სამინისტროებიდან, რომლებიც მოხსენიებულია კანონმდებლობაში.
- ნათლად განსაზღვრეთ გეოგრაფიული არეალი, საფრთხის ტიპი, მიზეზი და შედეგები, ადმინისტრაციული დონე (ადგილობრივიდან ეროვნულ დონემდე) და იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანო რისკის შეფასებაში.
- უზრუნველყავით რისკების დონეების თანმიმდევრობა, მაგალითად რისკების დონის ერთი ზღვარი გამოიყენეთ ეროვნულ დონეზე რისკების / საფრთხეებისთვის ყველა სააგენტოსა და სამინისტროსთვის.
- კარგად გამოყავით თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივი რისკის შეფასებები ეროვნულ რისკის შეფასებას და პირიქით და უზრუნველყავით მონაცემთა გაცვლა მათს შორის. გააძლიერეთ ურთიერთშეთანხმება და მონაცემთა გაცვლა მეზობელ ქვეყნებთან რისკის შეფასების კუთხით; წყალდიდობის რისკისთვის საერთაშორისო წყლებში, მაგალითად საქართველომ შეიძლება გამოიყენოს ევროკავშირის წყალდიდობის დირექტივის დათქმები სასაზღვრო ადგილებში.⁶

⁶შესაძლოა იქნას გამოყენებული მდინარე სავას კომისია <http://www.savacommission.org/>

1.2 რისკის შეფასების მეთოდოლოგია

არ არსებობს ერთიანი შეთანხმებული მეთოდოლოგია საფრთხეების რუკაზე დატანისთვის და რისკის შეფასებისთვის საქართველოში; სხვადასხვა მეთოდოლოგიები გამოიყენება სხვადასხვა ასპექტების შეფასებისას. ამჟამად, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთიან წესებს და ფორმატს საფრთხის შეფასებისთვის (საფრთხის შეფასების გაიდლაინების მსგავსს) და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ადგენს ბრძანებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკის შეფასება. სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ უნდა მოამზადოს მეთოდოლოგიური რეკომენდაციები პოტენციური საფრთხეების და საგანგებო სიტუაციების რისკის შეფასებისთვის, რაც გულისხმობს ყველა რელევანტური უწყების ჩართულობას განვითარების პროცესში. როგორც კი ბრძანებულება იქნება მიღებული, მასში განხილული მეთოდოლოგია გახდება სავალდებულო და ყველა სამინისტროს მოუწევს ამ ბრძანებულებით დადგენილი წესების გამოყენება რისკის შეფასების პროცესში. არ არის განსაზღვრული თუ ზუსტად როდის გამოიყენებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური იმავე რისკის კატეგორიებს, რომლებიც უკვე გამოყენებულ იქნა უსაფრთხოების საბჭოს მიერ ეროვნული საფრთხის შეფასებაში.

სხვადასხვა სააგენტოები ასრულებენ სხვადასხვა ნაბიჯებს რისკის შეფასების პროცესში. საქართველოში რისკის იდენტიფიკაცია და რისკის რუკებზე დატანა ხორციელდება ძალიან ბევრი სააგენტოს, სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს, რომელიც ეკუთვნის გარემოს დაცვის სამინისტროს, აკისრია მნიშვნელოვანი როლი საფრთხეების იდენტიფიცირებაში. სააგენტო ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს (იხ. ასევე თავი 1.1) ამასთან, სხვა უწყებები ამზადებენ საფრთხის ანალიზებს თავიანთი პასუხისმგებლობის არეალში (მაგ. გარემოს დაცვის სამინისტრო მუშაობს რადიაციულ და ქიმიურ სუბსტანციებზე და სატყეო ხანძრებზე, განათლების და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს სეისმური რისკების შეფასებაზე; ჯანდაცვის სამინისტრო ამზადებს საფრთხის ანალიზს პანდემიებზე და რეგიონალური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს ინფორმაციას ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე) გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს რუკებისა და სხვა საფრთხის რუკების გარდა, ეროვნული საფრთხის და რისკის 2012 წლის ყველა სამიწისსარეწრო და ეროვნული სააგენტოს ელექტრონული ატლასის აღნიშნვა არის მნიშვნელოვანი⁷. არსებობს ნაპრალი იმ კომპანიებთან და მემკვიდრეობის ადგილებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩართულნი არიან ისეთ საქმიანობაში ან ინახავენ ნარჩენებს წარსული აქტივობებიდან, რომლებიც შესაძლოა გახდეს საშიში ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის, ქონებისთვის და გარემოსთვის, ვინაიდან საქართველოს არ აქვს ეს რისკები დარეგისტრირებული.

არსებობს საფრთხის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ნაწილიც არის საჯარო. შეფასების მეთოდოლოგია იყენებს რისკების მატრიცის მიდგომას, რომელიც ეფუძნება საფრთხის შესაძლებლობებისა და შედეგების კომბინაციას. შესაძლებლობის შეფასება ეფუძნება სტატისტიკურ მეთოდს. რისკის შედეგი ან ზეგავლენა დაიანგარიშება ეკონომიკური ხარჯების გაწევით მშპ-სთან მიმართებით, გარდაცვლილი ან დაზარალებული მოსახელობის სიმრავლით, სოციალური ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენით, და პოლიტიკური ზეგავლენით როგორც შიდა ასევე გარე დონეზე. თითოეული ამ ასპექტებიდან იზომება 5 ბალიანი შკალის მიხედვით (1 - უმნიშვნელო,

⁷საქართველოს ბუნებრივი საფრთხეების და კატასტროფის რისკის ატლასი (2012), ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული რისკის შემცირების ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროექტი; გეო ინფორმაციის მეცნიერების და დედამიწის კვლევის ფაკულტეტი, ტვენტის უნივერსიტეტი, (the University of Twente); კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN); NEA; EMA დაილია ჰავაში სახელობის უნივერსიტეტი.

2- მცირე მნიშვნელობის მქონე, 3 - საშუალო მნიშვნელობის მქონე, 4 - სერიოზული და 5 – კრიტიკული).

SSCMC არ შეიმუშავებს რისკის შეფასებას თავისით, თუმცა იღებს რისკის შეფასების დოკუმენტაციას ყველა სამინისტროსგან, უნივერსიტეტებისგან, კერძო კომპანიებისგან და აშ. და აერთიანებს მათ ეროვნულ რისკის შეფასების დოკუმენტში. თითოეული საფრთხე ამ დოკუმენტში არის სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფების ერთიანი ჯგუფური მუშაობის შედეგი. საფრთხის შეფასებას აქვს როგორც გასაიდუმლოებული ასევე საჯარო ნაწილი (ბუნებრივი საფრთხეების აღწერა არის საჯარო ინფორმაცია)

რაც შეეხება რისკის შეფასებას, სხვადასხვა ტიპის რისკების იერარქია წარმოადგენს საფრთხის შეფასების ერთ-ერთ შედეგს. პრიორიტეტული რისკებია ისინი, რომლებსაც აქვთ მაქსიმალური დონე (წითელი). როგორც კი ეროვნული საფრთხის შეფასება დამტკიცდება, სამინისტროები სააგენტოები და სხვა ინსტიტუტები დაიწყებენ სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას თითოეული რისკისთვის. ეროვნული სამოქმედო გეგმა თითოეული რისკისთვის უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული.

ეფექტური პრაქტიკა:

- რისკის შეფასების 17 ფუნქციად განაწილება.
- რისკის ატლასი წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც იძლევა ძალიან კარგ ცნობადობის ამაღლების შესაძლებლობას თითოეულ განსხვავებულ საფრთხესთან მიმართებით, რომელიც ემუქრება ქვეყანას, ასევე რისკის ზეგავლენის დონესთან დაკავშირებით.
- საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც გამოცემულია ეროვნული გარემოს დაცვის სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ წარმოადგენს საჭირო ინსტრუმენტს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიწის გამოყენების დასაგეგმად და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმარებისას, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე. ერთ დოკუმენტში გაერთიანებული პრიორიტეტული საფრთხის შერბილების ზომების აღწერების გაერთიანება არის საჭირო მთავრობისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.
- რისკის მატრიცის გამოყენება და სხვადასხვა რისკებისთვის განსხვავებული პრიორიტეტულობის მინიჭება ეროვნულ საფრთხის შეფასებაში შეესაბამება ევროკავშირის კატასტროფის მენეჯმენტის რისკის შემცირების და რუკების შედგენის გაიდლაინების სტანდარტებს.⁸

რეკომენდაცია:

- მიენიჭოს პრიორიტეტულობა ბრძანების შემუშავებას რისკის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, იმისთვის, რომ განისაზღვროს ჰომოგენური სტანდარტები და პროცედურები ეროვნულ დონეზე (პროცედურების ერთიანი სისტემა, არა თვისთავად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია; უნდა არსებობდეს სხვადასხვა მიდგომები, არსებული მიზნიდან გამომდინარე). ყველა მომავალ ეროვნულ / ინტერნაციონალურ რისკის შეფასების პროექტს მოუწევს, რომ იხელმძღვანელონ ამ დამტკიცებული პროცედურებით. ამის სრულყოფისთვის, კარგი იქნება ევროკავშირის

⁸https://ec.europa.eu/echo/files/about/COMM_PDF_SEC_2010_1626_F_staff_working_document_en.pdf

კატასტროფის მენეჯმენტის რისკის შემცირების და რუკების შედგენის გაიდლაინების გამოყენება.

- გააერთიანეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და სახელმწიფო უშიშროების და კრიზისის მართვის საბჭოს მეთოდოლოგიები იმისთვის, რომ შექმნათ ერთიანი სტანდარტიზებული კრიტერიუმები იმისთვის, რომ მოახდინოთ რისკების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა სხვადასხვა სახის საფრთხეების შესაბამისად სხვადასხვა სამთავრობო დონეზე.
- განავითარეთ სექტორული რისკის შეფასება და კანონმდებლობა, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის პოლიტიკასთან, მაგალითად ევროკავშირის წყალდიდობის და სევესოს დირექტივასთან.
- განავითარეთ წყალდიდობის რისკის იდენტიფიცირება და რუკაზე დატანა ევროკავშირის წყალდიდობის შესახებ დირექტივის მოდელად გამოყენების საფუძველზე.
- ჩამოაყალიბეთ რისკის რეგისტრაცია, რაც მოიცავს რისკის ტიპს და აღწერას, სამართლებრივ ფარგლებს, სტანდარტებს, ზომებს და პროცედურებს რისკის შემცირების აქტივობებთან მიმართებით, ისევე როგორც ნარჩენების რისკის შეფასებასთან მიმართებით, რაც ასევე მოიცავს ინდუსტრიულ დანადგარებს და საშიშ ნარჩენებს.
- სისტემურად ჩაიწერეთ და გააზიარეთ კატასტროფის მეორე გამოწვეული ზარალის შესახებ ინფორმაცია და მონაცემები, იმისთვის, რომ რისკის შეფასებას შეუწყოს ხელი, უფრო კონკრეტულად კი რისკის იდენტიფიკაციას და რისკის პროცესების დამუშავებას.
- თუ საჭირო იქნება, განსაზღვრეთ ნათელი კრიტერიუმები იმისთვის, რომ განისაზღვროს არის თუ არა კონკრეტული რისკის დონე დასაშვები.

1.3 ინფორმაცია და კომუნიკაცია

საქართველოში რისკის შეფასების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა სახით ვრცელდება. გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემა (GIS) გამოიყენება ბევრი სამინისტროს მიერ (მაგ. გარემოს ეროვნული სააგენტო), ორგანიზაციების მიერ (მაგ. 112.ge) და არასამთავრობო ორგანიზაციების და პროექტების მიერ (მაგ. მდინარე რიონზე), თუმცა არ არსებობს ერთიანი მონაცემების სტანდარტების მოდელი. მონაცემები ხელმისაწვდომია გარემოს ეროვნული სააგენტოს შიდა უწყებებისთვის. არსებობს გეგმები იმისთვის, რომ შეიქმნას GIS-ის ან გეო საინფორმაციო მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობდა მონაცემთა გაცვლას სხვა ორგანოებთან და ასევე საზოგადოებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებასაც. (განსხვავებული წვდომის ხარისხით).

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენი გამოიცემა და თავსდება ვებ საიტზე და ის ასევე არის მიწოდებული სხვა სამინისტროებისთვის, მთავრობებისთვის და რეგიონებისთვის. როგორც ჩვეულებრივ, ის პირდაპირი გზით არ ეგზავნებათ მუნიციპალიტეტებს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი თავად გამოითხოვენ ამ ინფორმაციას), თუმცა ისინი ამ ბიულეტენებს იღებენ გამგებლებისგან.

საქართველოში მიწის სამშენებლოდ გამოყენების და ქალაქთმშენებლობის გეგმა არსებობს მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტისთვის ანალოგიური დოკუმენტებისა და გეგმების სახით. არ არსებობს მართვის სისტემა მიწის სამშენებლოდ გამოყენების დაგეგმარებისთვის. ბუნებრივი საფრთხის მონაცემები არ შედის მიწის სამშენებლოდ გამოყენების დოკუმენტებში,

ვინაიდან არსებული მონაცემები არ არის ზუსტი, თუმცა ხშირად გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო და სხვა ექსპერტები ქალაქთმშენებლობის პროცესში ჩართულნი არიან.

ადმინისტრაციული შესაძლებლობები შიდა კომუნიკაციებისთვის რისკის შეფასების კუთხით, ცნობადობის ამაღლების, ცოდნის გაზიარებისას ხშირად არ არის საკმარისი.

ეფექტური პრაქტიკა:

- რისკების ვებ პორტალი. შეიძლება ეს იყოს სწორი დასაწყისი სრული რისკის შეფასების ვებ პორტალის შექმნისთვის.

რეკომენდაცია:

- გაზარდეთ მონაცემთა გაცვლა და გაზიარება ორგანიზაციებს შორის, იმისთვის, რომ დუბლიკაციები აირიდოთ თავიდან, გაზარდეთ ურთიერთთანამშრომლობა მონაცემთა შეგროვების მცდელობის პროცესში და გახადეთ ისინი ხელმისაწვდომი, რომ ყველა მხარემ მიიღოს სარგებელი, რესურსების შენახვით და ამავდროულად მონაცემთა შენახვით და მონაცემების ფლობით.
- უზრუნველყავით საფრთხეებთან დაკავშირებული მონაცემების, რუკების და ინფორმაციების გაცვლა სამინისტროებს და სააგენტოებს შორის და ხელი შეუწყვეთ ამ ინფორმაციის სახელმწიფოში გავრცელებას, კონკრეტულ შემთხვევებში ადგილობრივ დონეებზე. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ გაავრცელოთ მონაცემები და ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს საინფორმაციო ბიულეტენები როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე. ეროვნულ დონეზე ეს არის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხარჯების ანალიზების შემუშავებისას. ადგილობრივი ორგანოები განსაზღვრავენ მიწი სამშენებლოდ გამოყენების პოლიტიკას, ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, რომ მხედველობაში მიიღონ ეს ინფორმაცია.
- შეიმუშავეთ GIS რუკები ყველა მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხისთვის, მაგალითად ისეთებისთვის როგორცაა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული ზვავის და წყალდიდობის რუკები, იმისთვის, რომ ქალაქის რუკების ჩანაცვლება მოხდეს.
- შეადგინეთ გაიდლაინები GIS სტანდარტებისთვის (ერთი და იგივე მასშტაბები, ფერების პალიტრა, მონაცემები, რაც უნდა აიტვირთოს, მაღალი რეზოლუციები და აშ). ამ გზით შესაძლებელი იქნება რუკების შედარება, და ისინი მარტივად წაკითხვადი იქნება.
- ჩამოაყალიბეთ ეროვნული GIS/ გეო საინფორმაციო სტრუქტურა / ქსელი ერთიანი GIS-ის კოორდინაციის ოფისით საქართველოში ყველა GIS აქტივობისთვის.
- გამოიყენეთ ყველა არსებული ბუნებრივი საფრთხის მონაცემთა ბაზა მიწის სამშენებლოდ გამოყენების და ქალაქთმშენებლობის გეგმარების აქტივობებში.
- შეადგინეთ საინფორმაციო ბიულეტენები (რომლებშიც იქნება ფენომენის აღწერა, GIS რუკა, საზღვრები, შემცირების ზომები და სხვა) ასევე სხვა საფრთხეებთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად მეწყერთან დაკავშირებით.

⁹ევროპული პარლამენტის 2007/2/EC დირექტივა და ევროპული საბჭოს 2007 წლის 4 მარტის დირექტივა ინფრასტრუქტურის შესახებ სივრცითი ინფორმაციისთვის და ევროპული საზოგადოებაში (INSPIRE). <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32007L0002>

1.4 ექსპერტიზა

გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს და სხვა სააგენტოებს ჰყავთ კომპეტენტური ექსპერტ შემფასებლები კარგი საექსპერტო გამოცდილებით, თუმცა ხშირად მათ აკლიათ აღჭურვილობა და ფინანსური სახსრები იმისთვის, რომ თავიანთი საქმე განახორციელონ. პასუხისმგებელი ექსპერტები ეროვნული საფრთხის შეფასების ფარგლებში გადიან ტრენინგებს დიდი ბრიტანეთის და ავსტრიის ექსპერტების ხელმძღვანელობით. ვინაიდან პირველი ეროვნული საფრთხის შეფასება მოხდა 2005 წელს, ძალიან ბევრი გამოცდილება იქნა შეძენილი. თუმცა, არ არსებობს განსაზღვრული და დამოწმებული პროტოკოლი იმისთვის, რომ გამოყენებულ იქნას ექსპერტების მოსაზრებები რისკის შეფასების პროცესის მიმდინარეობისას

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით „საგანგებო მდგომარეობის რისკის შემცირების სტრატეგიის ფარგლებში, ეროვნული საჯარო საკონსულტაციო ორგანო - ექსპერტების საკონსულტაციო საბჭო - დაფუძნებულია სააგენტოსთან (EMA). საბჭო შედგება დაახლოებით 120 წევრისგან, უმეტესწილად სხვადასხვა ორგანიზაციების მენეჯერებისგან / ექსპერტებისგან, აკადემიური ინსტიტუტებისგან, ოფიციალური უწყებებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. საბჭოს მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ანალიზების შედგენა და რეკომენდაციების შემოშვება პრევენციული ზომებისთვის, რაც უნდა იქნას იმპლემენტირებული საჯარო უწყებებისგან იმისთვის, რომ მოხდეს საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირება.

ეფექტური პრაქტიკა:

- გამოცდილების და ცოდნის გაცვლა ოფიცრებს შორის, რომლებიც ეკუთვნიან სამთავრობო ინსტიტუტებს და ექსპერტებს შორის, რომლებიც ეკუთვნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს და ადგილობრივ საუნივერსიტეტო კვლევებს არის ძალიან კარგი პრაქტიკა..
- საექსპერტო საკონსულტაციო საბჭო არის კარგი გზა იმისთვის, რომ გაიზარდოს ურთიერთთანამშრომლობა მენეჯერებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მთავრობას შორის.
- თვითნაკეთი კომპიუტერული პროგრამების, პროტოტიპების და მოდელების იმპლემენტაცია რისკის შეფასებისთვის და ადრეული შეტყობინების სისტემებისთვის გამოსაყენებლად არის ძალიან კარგი პრაქტიკა, რაც უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს.

რეკომენდაცია:

- გამოიყენეთ ექსპერტები და საუნივერსიტეტო კვლევები საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების ჩასართავად რისკის შეფასების პროცესში და საერთო რისკის მენეჯმენტში. ეს შეიძლება განისაზღვროს ბრძანებით / კანონით.
- ნათლად განსაზღვრეთ თუ როგორ ხდება თანხების და ფონდების განაწილება კვლევებისა და განვითარებისთვის. ამ გზით „შინაურულად შექმნილი“ პროგრამების და მეთოდების გამოყენება იქნება შესაძლებელი, რაც ქართულ სისტემას უფრო დახვეწილს გახდის. ამასთან, გამოცდილების გაცვლა საუნივერსიტეტო კვლევებს შორის უნდა იყოს უზრუნველყოფილი და სისტემატიზებული. შესაძლოა ძალიან ეფექტური გზა იყოს წარდგენილ კვლევებზე ორიენტირება რითაც შესაძლოა მოხეს ძალიან ეფექტური პლატფორმების და მოდელების შექმნა.

- მაქსიმალურად გამოიყენეთ ევროკავშირის პროგრამები, ისეთი როგორცაა სამოქალაქო დაცვის გაცვლის საექსპერტო პროგრამა¹⁰ და სხვა პროგრამები, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანების სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმით; და ევროპული სამეზობლოს ინსტრუმენტებიც, ისეთი როგორცაა twinnings-ის TAIEX¹¹-ის პროგრამა, იმისთვის რომ გაიზარდოს საქართველოს რისკის მენეჯმენტის შესაძლებლობები.
- შექმნით ტრენინგის კურსები, იმისთვის რომ მოხდეს ექსპერტების დატრენინგება საქართველოს და საერთაშორისო რისკების შეფასების მეთოდოლოგიებში.

1.5 ინფრასტრუქტურა რისკის შეფასებისთვის

განსხვავებული ინსტიტუტები, რომელთაც ევალებათ რისკების შეფასება იყენებენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ICT ინფრასტრუქტურებს. არ არსებობს შექმნილი ან არჩეული ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიების პლატფორმა რისკის შეფასებისთვის ეროვნულ დონეზე. ინფორმაცია და მონაცემები (მათ შორის ისტორიული მონაცემები) ხელმისაწვდომია საქართველოში, მაგრამ ისინი არ არის საკმარისად სრული ყველა სახის საფრთხისთვის გამოსაყენებლად. ამასთან, ისინი შეგროვებულია სხვადასხვა სააგენტოების / ინსტიტუტების / სამინისტროების მიერ განსხვავებული გზებით და განსხვავებული სტანდარტების გამოყენებით. ასევე, ისინი არ არის შეგროვებული და შენახული ერთ მონაცემთა ბაზაში. თუმცა ელექტრონული რეგიონალური რისკების ატლასის პორტალს რამდენიმე თვეში ექნება დამატებითი საინსტალაციო პუნქტები.

საქართველომ გადადგა პირველი ნაბიჯები ამ სიტუაციის მოსაგვარებლად. გაეროს განვითარების პროგრამა თანამშრომლობდა საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან, რომ შექნილიყო მონაცემთა ბაზის სისტემა, რომ შეგროვებულიყო მონაცემები უკვე არსებული კატასტროფების შესახებ. ამ დროისთვის საქართველო მუშაობს ისტორიულ მონაცემებზე (კატასტროფით გამოწვეული ზარალის მონაცემთა ბაზა). ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, ვინ იქნება პასუხისმგებელი მონაცემების შეგროვებასა და მონაცემების განახლებაზე, რომელი ICT ინფრასტრუქტურა იქნება გამოყენებული მონაცემთა გასაზიარებლად და, უფრო ზოგადად, მონაცემების გაზიარების პოლიტიკა.

ეფექტური პრაქტიკა:

- არსებობენ კარგი ადგილობრივი ICT ექსპერტები, რომელნიც დატრენინგებული არიან და წარმოადგენენ ქვეყნის დამატებით ღირებულებას. ამას შეუძლია საქართველო აქციოს ავტონომიურად სისტემების, ვებ პორტალების და აშ შემუშავებასა და კეთილმოწყობაში.

რეკომენდაცია:

- გამოიყენეთ არსებული საერთაშორისო გაიდლაინები¹², იმისთვის, რომ მოხდეს პოლიტიკის შემუშავება და შესაძლოა კანონისაც მონაცემთა შეგროვებასა და გავრცელება / გაზიარების შესახებ.

¹⁰http://www.exchangeofexperts.eu/EN/Home/home_node.html

¹¹http://ec.europa.eu/enlargement/tenders/taieux/index_en.htm

¹²კატასტროფის მიერ გამოწვეული ზარალის და ზიანის ჩაწერისთვის და გაზიარებისთვის გაიდლაინები (JRC, 2015); წყალდიდობის დირექტივას დაფუძნებული შეტყობინების გაიდლაინები 2007/60/CE (გარემოს დაცვის გენერალური დირექტორატი).

- გამოიძიეთ თუ რა მონაცემებია უკვე შეგროვებული თითოეული უწყების მიერ და როგორი გზით, ვინ ახორციელებს მონაცემთა ბაზის განახლებას, როგორია მიმდინარე გამოყენებული პროცედურები და ICT სისტემები, იმისთვის, რომ ნათლად გამოჩნდეს მონაცემთა ხელმისაწვდომობა ქვეყნის შიგნით და იმისთვის, რომ მოხდეს მსგავსი მონაცემების სხვადასხვა სტრუქტურების მიერ შეგროვების, გადაფარვის თავიდან აცილება.
- გამოიყენეთ რჩეული, უკეთ მომუშავე პლატფორმის ICT სისტემები სტანდარტებად, ამ გზით სამომავლო პროგრამები და პროექტები გამოიყენებენ იმავე ICT სისტემას.¹³
- უზრუნველყავით ICT და GIS სისტემებს შორის ურთიერთ მოქმედება და შეთანხმებულობა, ანალიზების შემუშავებისას. შესაბამის შკალაზე არსებული მონაცემები უნდა იქნას გათვალისწინებული იმისთვის, რომ შემუშავდეს ეფექტური რისკის შეფასებები და სექტორული ანალიზები.

1.6 რისკის შეფასების დაფინანსება

საქართველომ უნდა შეავსოს და განავითაროს შეზღუდული რესურსები. საქართველოს განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებსა და პროგრამებზე, როგორებიცაა ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი და USAID. ეს ინიციატივები ატარებს დროებით სახეს და ხშირად ვერ ხორციელდება, ვერც იხვეწება და არც მონიტორინგი არ ხდება იმპლემენტაციის პერიოდის ფარგლებში. ფინანსური შესაძლებლობა, რაც გააჩნია საქართველოს იმისთვის, რომ განაახლოს და ჩაატაროს სამუშაოები რისკის შეფასებაზე არის შეზღუდული და სავარაუდოდ არაეფექტური და არასაკმარისი უფრო დიდი მასშტაბის კვლევებისთვის.

რეკომენდაცია:

- შეიმუშავეთ პოლიტიკა ფინანსური რესურსების განაწილებისთვის რისკის შესაფასებლად, როგორც სექტორულ ასევე ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიებში. ვიანიდან „რისკების გაგება“ წარმოადგენს სენდაის ჩარჩოს მთავარ პრიორიტეტს, ლოგიკურია, რომ სპეციფიური ბიუჯეტი იქნას განაწილებული ეროვნული კატასტროფის რისკების შემცირების სტრატეგიისთვის იმისთვის, რომ რისკის შეფასების შესაძლებლობა განვითარდეს საქართველოში (როგორც რისკის მენეჯმენტის შესაძლებლობის ნაწილი)

http://www.desinventar.net/index_www.html; <http://www.preventionweb.net/english/hyogo/gar/2015/en/home/index.html>;

¹³ INSPIRE დირექტივა: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32007L0002>.

2. რისკის მენეჯმენტის პროცესების ინტერფეისი

მიზანი: რისკის შეფასების პროცესში ჩართულმა უწყებებმა უნდა აირჩიონ ინტერფეისი შესაბამისი გზით, იმისთვის რომ უზრუნველყონ რისკის შეფასების პროცესი, ეროვნული რისკის შეფასების და რუკების განვითარების პარალელურად და მათს საფუძველზე.

რისკის შეფასება ხორციელდება კატასტროფის რისკების მართვის კონტექსტში. რისკის შეფასება და რუკების შემუშავება არის ცენტრალური და მთავარი კომპონენტი უფრო ზოგადი პროცესისა, რომელიც განსაზღვრავს არსებულ შესაძლებლობებსა და რესურსებს იმისთვის, რომ მოხდეს იდენტიფიცირებული რისკის დონის შემცირება, ან სავარაუდო კატასტროფის ზეგავლენის და შედეგების შემცირება (შესაძლებლობის ანალიზი), რაც გულისხმობს შესაბამისი რისკის შემცირების ზომების (შესაძლებლობის დაგეგმარება) დაგეგმარებას, საფრთხეების, რისკების და ზიანის მონიტორინგს და გადახედვას, ასევე კომუნიკაციასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს აღმოჩენების და შედეგების გაზიარება.¹⁴ ერთ-ერთი მთავარი შედეგი ამ პროცესის არის ეროვნული და ასევე ადგილობრივი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კატასტროფის რისკის შემცირებისთვის.

საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო განმარტება რისკის მენეჯმენტისთვის, თუმცა სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონში არის სამართლებრივი დეფინიცია საგანგებო სიტუაციის მენეჯმენტისთვის: *წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) დროს ერთიანი სისტემის სუბიექტების მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანებისთვის პოტენციური ზიანის შემცირებას და ახალი რისკების წარმოშობის პრევენციას*

ყველა საჯარო ადმინისტრაციული ორგანო გაერთიანებულია ერთიან სისტემაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის შესაბამისად. ერთიანი სისტემა მოიცავს მოქმედების სამ დონეს: პოლიტიკურს (ცენტრალური ორგანოები), სამუშაოს (ავტონომიური რეგიონები) და ტაქტიკურს (მუნიციპალიტეტები). მთავარი პასუხისმგებლობა რეაგირებაზე აკისრია ადგილობრივ დონეზე არსებულ ორგანოებს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ უმკლავდებიან დავალებას, მაშინ ჩართულია უფრო მაღალი დონის ორგანოები. პოლიტიკური დონე საქმეში ერთვება მაშინ, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო (აგ. საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დახმარების მიღება, შეიარაღებული ძალების გამოყენება). სტრატეგიული დონე შეიძლება ასევე ჩაერთოს სასაზღვრო დონეზე საგანგებო სიტუაციების წარმოშობისას.

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის შესაბამისად:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ მონაწილეობა უნდა მიიღოს რისკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავებაში, მის ზედამხედველობასა და იმპლემენტაციაში;
- ცენტრალური დონის ორგანოებმა, რომლებიც ერთიან სისტემაშია, უნდა განავითაროს და განახორციელოს საგანგებო სიტუაციების პრევენციის ზომები და რისკის მენეჯმენტის გეგმა ;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და სახელმწიფო რწმუნებულები უნდა გეგმავდნენ და იმპლემენტაციას ახორციელებდნენ სამოქალაქო


¹⁴ევროკავშირის რისკის შეფასების და რუკების შედგენის გაიდლაინები

უსაფრთხოების პრევენციულ ზომებს, და ასევე უნდა ავითარებდნენ და ამტკიცებდნენ რისკის მენეჯმენტის გეგმებს.

- მუნიციპალური ორგანოები სააგენტოებთან შეთანხმებით, უნდა გეგმავდნენ და იმპლემენტაციას ახორციელებდნენ სამოქალაქო უსაფრთხოების პრევენციულ ზომებს, და ასევე უნდა ავითარებდნენ და ამტკიცებდნენ რისკის მენეჯმენტის გეგმებს.

ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, ყველა ადმინისტრაციული დონის ერთეულებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ რისკის მენეჯმენტის დაგეგმვის პროცესში. ხოლო ერთი ორგანო, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანო, დანიშნულია სახელმწიფო დონეზე უწყებად. სააგენტომ უნდა განახორციელოს სხვა ინსტიტუტების მიერ იმპლემენტირებული ზომების მონიტორინგი და უნდა დაადგინონ თუ რამდენად ამცირებს ეს ზომები რისკებს.

საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოსგან დამოუკიდებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭო (SSCMC) ასევე ვალდებულია კატასტროფის მართვის რამდენიმე ასპექტზე. საგანგებო სიტუაციის არსებობისას, როდესაც ადგილობრივი და რეგიონალური დონის ორგანოები გადატვირთულია, რეაგირების განმახორციელებელი ინსტიტუტი არის ან საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანო ან სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭო, საფრთხის დონიდან გამომდინარე.



ნახაზი 2: დიაგრამა აჩვენებს კრიზისის მართვის სისტემას სამთავრობო დონეზე

სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის კანონის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭო (SSCMC) არის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ექვემდებარება პრემიერ მინისტრს. ის პასუხისმგებელია პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებების მომზადებაზე ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის არეალში, თავდაცვაში, სტაბილურობაში და სამართლებრივი ბრძანების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან. სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭოს ის დავალებები, რომლებიც უკავშირდება საგანგებო სიტუაციების მართვას, შეიცავს, სხვა დანარჩენთან ერთად, ყველა ისეთი ტიპის კრიზისული სიტუაციის მართვას პოლიტიკურ დონეზე, რამაც შეიძლება ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დააყენოს; საჭირო შეთავაზებების, წინადადებების შემუშავებაზე, იმისთვის, რომ მოხდეს პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების

პრევენცია და აღმოფხვრა. და საჭირო ზომების კოორდინაცია და შემუშავება, იმისთვის, რომ მოხდეს პრევენცია, იდენტიფიცირება, თვიდან აცილება და პროგნოზირება შიდა და გარე საფრთხეების და რისკების რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ინტერესებს.

ამის საპირისპიროდ, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ. ის კოორდინაციას უწევს იმ ორგანოების ქმედებებს, რომლებიც გაერთიანებულია ერთიან სისტემაში პრევენციის, მზადყოფნის, სწრაფი რეაგირების და აღდგენითი სამუშაოების წარმოების პროცესში. სააგენტო სხვა დანარჩენთან ერთად ასრულებს შემდეგ საქმიანობებს: ეროვნული სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმის შემუშავება და მისი განახლება ყოველ ორ წელში, სხვა ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმაში მონაწილეობის მიღება და რისკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების ზედამხედველობა, მეთოდოლოგიური რეკომენდაციების მომზადება პოტენციური საფრთხეების და საგანგებო რისკების ანალიზისთვის და საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გადაცემა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მუშაობს ეროვნულ, ავტონომიურ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ხშირად სააგენტოს წარმომადგენლები არიან კრიზისის მართვის საბჭოს დეპუტატები, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადგილობრივი დანაყოფები ეხმარებიან ადგილობრივ ადმინისტრაციებს სამოქმედო გეგმების (საგანგებო სიტუაციების გეგმების) შემუშავებაში და ასევე რისკის დონის განსაზღვრაში ტერიტორიაზე.

ჩართული დაინტერესებული მხარის მაგალითს საგანგებო სიტუაციის მართვაში წარმოადგენს საქართველოს წითელი ჯვარი. ის ორიენტირებულია საზოგადოების მზადყოფნაზე კატასტროფის დროს, რისკის შემცირების პოტენციალის ზრდაზე და საზოგადო ცნობადობის ამაღლებაზე. საქართველოს წითელი ჯვარი მოქმედებს ძირითადად ადგილობრივ დონეზე (მაგალითად საგანგებო სიტუაციების ტრენინგის დროს). როგორც პირველ თავშია განხილული ეროვნული სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმა არის საბაზისო დოკუმენტი სხვა გეგმებისთვის, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისთვის ასევე საგანგებო სიტუაციების რისკის მართვის გეგმისთვის ყველა ადმინისტრაციულ დონეზე და ისინი უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული გეგმიდან. მაგალითად, ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების ყვარლის გეგმა მომზადებულ იქნა ეროვნულ გეგმასთან და მის 17 ფუნქციასთან შეთანხმებით. საგანგებო სიტუაციების ყვარლის გეგმა მოიცავს როგორც ბუნებრივ ასევე ადამიანის ხელით გამოწვეულ საფრთხეებს (მაგ წყალდიდობა,ღვარცოფი და აშ). გეგმა ასევე მოიცავს ევაკუაციასთან დაკავშირებულ დეტალურ ქმედებებს (სატრანსპორტო კომპანიების საკონტაქტო ნომრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას) და დამატებითი დახმარების ჩართვის პროცედურას უფრო მაღალი დონის ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია და შესაძლებლობის დაგეგმარება საქართველოში ეფუძნება ეროვნული საფრთხის შეფასების დოკუმენტს. როგორც კი ეს დოკუმენტი დამტკიცდება, სამინისტროები და სააგენტოები რომლებსაც აკისრიათ 17 ფუნქციის ვალდებულება იწყებენ სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ამის შემდეგ, ყოველი სამინისტრო შეიმუშავებს თავის საკუთარ გეგმას და დაგეგმავს საკუთარ ქმედებებს, ასევე გადაანაწილებს საჭირო ფინანსურ რესურსებს. ეროვნული ქმედებების ერთიანობა თითოეული ფუნქციისთვის უნდა დამოწმდეს მინისტრთა საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესი და მეთოდოლოგია - და შესაძლებლობების ანალიზი და შესაძლებლობების დაგეგმვა - არ არის რეგულირებული სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონში, თუმცა ეს აკისრიათ იმ სამინისტროებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან

თითოეული ფუნქციაზე. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭო ახორციელებს მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს განვითარებას. 2014 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ მოამზადა შესაძლებლობების შეფასება ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სისტემისთვის საქართველოში. ამ გაეროს განვითარების პროგრამის შეფასების საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისის მენეჯმენტის საბჭომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა შესაძლებლობების გასავითარებლად და კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის დასახვეწად.

ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგია ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. საქართველოს აქვს აზრია, რომ გამოიყენოს უახლესო სენდაის ჩარჩოს პრინციპები. არ არის განსაზღვრული რა ტიპის საფრთხის შეფასებებს შეიცავს ეროვნული კატასტროფის რისკის შემცირების სამოქმედო გეგმა და არ არის დადგენილი ხდება თუ არ ამა რეკომენდაციების იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.

სივრცით გეგმარებასთან კავშირი

მიწის სამშენებლოდ გამოყენების გეგმები იქმნება ადგილობრივ დონეზე. ეკონომიკის სამინისტრო, თუ ეს საჭიროა, ეხმარება მუნიციპალიტეტებს ამ გეგმის შემუშავებაში. სამართლებრივად განმარტებულია როგორ უნდა შედგეს მიწის სამშენებლოდ გამოყენების გეგმის შედგენა, თუმცა კანონი არ მოითხოვს გეგმის დაწვრილებით წარმოდგენას. პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ყვარლის მუნიციპალიტეტში, ჩანს, რომ რთულია რისკების გათვალისწინება მიწის სამშენებლოდა გამოყენებისას. ყვარელში სკოლა აშენდა ისეთ არეალში სადაც მოსალოდნელი იყო ღვარცოფი. საკანონმდებლო მოთხოვნების სიმცირე, იმისთვის, რომ შემუშავებულ იქნას სივრცითი გეგმა, ნიშნავს, რომ ბევრ მუნიციპალიტეტს საერთოდ არ აქვს ასეთი გეგმა. თუმცა გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ძალიან დეტალურ რუკებს და გასცემს რჩევებს საფრთხის შემცველი არეალებისა და პოტენციური შემცირების ზომების მიღებასთან დაკავშირებით, არ არსებობს არც ერთი ინსტიტუციური ჩარჩო იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმპლემენტაცია და მონიტორინგი პრევენციული სტრატეგიების.

კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვასთან კავშირი (CIP)

არ არსებობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის შესახებ კანონმდებლობა რომელიც კავშირში იქნებოდა საბჭოს 2008 წლის 8 დეკემბრის 2008/114/EC დირექტივასთან. დირექტივა განსაზღვრავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორებს (მაგ. ენერჯია, კომუნიკაციები, ტრანსპორტირება, ჯანდაცვა, საკვები, ფინანსები და საზოგადოებრივი სერვისები) და რისკის მფლობელების პასუხისმგებლობას რისკის შეფასებისას, ისევე როგორ რისკის შემცირების ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს. აღნიშნული კანონმდებლობის არარსებობის გამო, არ არსებობს სექტორების ჩამონათვალი, რისკის მფლობელების ჩამონათვალი და ადამიანის დანაკარგებთან, ეკონომიკასთან, გარემოსთან და სტაბილურობაზე ზეგავლენასთან და სოციუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკის შეფასების ჩამონათვალები. ეს შეიძლება პრობლემა იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხში.

თუმცა, რეგულარული ინსპექციები მაინც ტარდება კანონის შესაბამისად და მომუშავე ძალები მზად არიან, რომ ადგილზეც კი გაემგზავრონ, თუ საჭირო იქნება (საგანგებო სიტუაციების აღმოცენების ან პრობლემების აღმოცენების დროს). ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული) მუშაობს მონაცემთა შეგროვებაზე და კანონმდებლობის განვითარებაზე კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებით.

ეფექტური პრაქტიკა:

- რისკის მართვა დაფუძნებულია ეროვნულ გეგმაზე სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ და განხორციელებული ქმედებები ორგანიზებულია 17 ფუნქციის საფუძველზე. ეს წარმოადგენს კარგ დასაწყისს სრულყოფილი ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისთვის სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესებში. თითოეული ფუნქციისთვის, რისკის და რისკის ფაზის მენეჯმენტის კოორდინაცია ნათელია.

რეკომენდაცია:

- შეიმუშავეთ პროცედურები და მეთოდოლოგიები (უმჯობესია სამართლებრივ ჩარჩოებში), რომლებიც დააწესებენ ზუსტ კავშირს რისკის შეფასების შედეგებსა და ვალდებულებებს შორის, მაგალითად ისეთს როგორცაა მიწის სამშენებლოდ გამოყენება, შენობების დიზაინის კრიტერიუმები, დეცენტრალიზებული რისკის შემცირების პოლიტიკა, ქიმიური პროცესების პოლიტიკა და დანადგარების უსაფრთხოების ზომები, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, მონიტორინგი და აღსრულება.
- განავითარეთ მიწის სამშენებლოდ გამოყენების გეგმის კავშირები რისკის შეფასებასთან და მის მენეჯმენტთან. საფრთხის შეფასებების შედეგები, ინფორმაციული ბიულეტენების სახით უნდა იქნას გათვალისწინებული მიწის სამშენებლოდ გამოყენების გეგმის შედგენისას, უნდა იქნას მონიტორინგი მათზე განხორციელებული და უნდა მოხდეს მათი აღსრულება, და ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული Building Back Better -ის პრინციპები (სენდაის ჩარჩო)
- განსაზღვრეთ ნათელი პროცედურები მოგება ზარალის ანალიზისთვის სივრცითი ზომების ანალიზის სტანდარტები ყველა საფრთხისთვის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, როგორც კი ეროვნული საფრთხის შეფასების დოკუმენტი განსაზღვრავს მთავარ საფრთხეებს საქართველოსთვის, ზუსტი პროცედურა / დირექტივა უნდა იქნას მიღებული, რომელიც დაადგენს თანხებს და არსებულ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული ამ საფრთხეების შემცირებისთვის საინვესტიციოდ.
- შეიმუშავეთ კანონმდებლობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისთვის, რომელიც დაადგენს გარკვეულ პასუხისმგებლობებს საზოგადოების სტაბილურობისთვის კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებით. სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონმა შეიძლება განსაზღვროს ინსტალაციები და იურიდიული პირები, ისევე როგორც ვალდებულებები რისკის მფლობელებისთვის, რისკის შეფასების შედეგის კუთხით, რისკის შემცირების ზომებთან და გეგმებთან მიმართებით, იმისთვის, რომ მოხდეს ყველა რისკის შემცირების ზომის იმპლემენტაცია (ევროკავშირის CIP დირექტივასთან შესაბამისობით)
- განსაზღვრეთ როგორ უკავშირდება რისკის შეფასება კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიებს, და გაითვალისწინეთ ეფექტური პრაქტიკები, რომლებიც შემუშავებულ იქნა ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. წყალდიდობის რისკის არსებობის შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილების საკითხები და საფრთხეების რუკაზე გადატანის დროს და რისკის მენეჯმენტის გეგმის შედგენისას, შეესაბამებოდეს ევროკავშირის წყალდიდობის შესახებ დირექტივას. ამ ბოლო პუნქტთან მიმართებით, IPA-ს წყალდიდობის პროგრამა, გაიდლაინები და ეფექტური პრაქტიკა შექმნის პროცესშია: ეს დოკუმენტები შესაძლოა გამოყენებულ იქნას კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

3. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

მიზანი: ეროვნული რისკის შეფასების შემუშავება და შედეგები არის გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებული დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების მიმართ (სენსიტიური ინფორმაციის გარდა)

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა და პუბლიკაციისა და რისკის კომუნიკაციებისგან განსხვავდება შეფასებების მიხედვით. ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენები იქმნება გარემო დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და არის საჯარო, მათი გაცნობა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში. ასევე ბუნებრივი საფრთხეების და კატასტროფის რისკის ატლასიც არის ხელმისაწვდომი ვებ სივრცეში, მისი მოხმარება და გადმოწერა არის მარტივი ყველა მომხმარებლის და ზოგადად საზოგადოებისთვის. თუმცა, ატლასი არ არის განახლებული პირველად 2012 წლის შეფასების მერე. ამასთან, რისკის ატლასის რუკებს არ აქვთ კარგი რეზოლუცია, ადგილობრივი რისკის მენეჯმენტისთვის გამოსაყენებლად. საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს იხილოს მხოლოდ სიტუაციის ზოგადი სურათი, თუმცა დეტალების ნახვა შეუძლებელია, ეს კი საჭიროა კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად.

ეროვნული საფრთხის შეფასების დოკუმენტი უმეტესწილად არის გასაიდუმლოებული, ვინაიდან შეიცავს სამხედრო ტერორიზმის და სხვა უშიშროების საფრთხეებს. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, ამ დოკუმენტიდან რომელი ინფორმაცია შეიცავდა სენსიტიური ინფორმაციას და არ შეიძლებოდა მისი გამოქვეყნება. ბუნებრივი საფრთხეების ნაწილი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები არის ხელმისაწვდომი და საჯარო, საგანგებო სიტუაციების გეგმები არ არის გამოქვეყნებული, თუმცა არც გასაიდუმლოებული არ არის. ზოგიერთ არეალში ან მუნიციპალიტეტში, მაგალითად ყვარელში, სპეციფიკური ხასიათის ინფორმაცია გარკვეულ რისკებთან დაკავშირებით აქტიურად გადაეცემა მოსახლეობას.

არც ერთი ზემოთ ხსენებული რისკის შეფასება და გეგმა არ არის გამოცხადებული საჯარო კონსულტაციისთვის, მათ მიღებამდე, თუმცა ყველაზე მეტად რელევანტური სტრუქტურები ყოველთვის ჩართულნი არიან ამ შეფასებების შექმნის პროცესში. ფორმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებით არის გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებული კანონმდებლობის შესაბამისად. მეტიც, არსებობს ექსპერტების საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო უსაფრთხოების კანონში და რომელიც გასცემს რეკომენდაციების პრევენციული ზომების მისაღებად, როლებიც უნდა გატარდეს საჯარო ორგანოების მიერ იმისთვის, რომ მოხდეს საგანგებო სიტუაციების შემცირება.

რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საჯაროდ არის სექტორების ვალდებულება. მთავარი საკომუნიკაციო ქმედებები წარმოადგენს რისკის შესახებ განათლებას, რასაც განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, 2016 წელს საზოგადოებრივი უსაფრთხოება ისწავლება მეოთხე, მერვე და მეთორმეტე კლასებში. უწყვეტი სწავლების კონცეფციის მიხედვით დაგეგმილია ახალი საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება მესამე და მეოთხე კლასებში და განახლებული საგნის, „ჩემი საქართველო“ სწავლება მეხუთე და მეექვსე კლასებში დაიწყება 2017 წლიდან. ორივე ეს საგანი ახდენს საგანმანათლებლო სისტემაში სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხების ინტეგრირებას სოციალური მეცნიერებების სწავლებაში. ასევე, „სამოქალაქო განათლების“ როგორც ცალკეული საგნის სწავლება დაიწყება

მესამე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასებში. ეს საგანი შეიცავს სამოქალაქო უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების საკითხებს. კურსი მოიცავს კატასტროფების რისკის შემცირების საკითხების დეტალურ სწავლებას, რაც გეორგაფიის საგნის ფარგლებში ისწავლება. ეს საგნები მიმართულია „უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ კონცეფციის დანერგვის ხელშეწყობისკენ.

განათლების სამინისტროს „გაგების მემორანდუმი“ აკავშირებს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, რაც ამდიდრებს თეორიულ მასალას პრაქტიკული ცოდნის კუთხით და აადვილებს იმპლემენტაციას. ამ თანამშრომლობის ძირითადი მიზანი ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკული ცოდნის განვითარებაა.

ამ პროექტის პარტნიორები არიან UNICEF, გადავარჩინოთ ბავშვები, ადგილობრივი ქართული დაინტერესებული მხარეები, კატასტროფების წინააღმდეგ არსებულ ცენტრი Oxfam, ASB (გერმანია)

ეფექტური პრაქტიკა:

- ყვარლის ადგილობრივი პრაქტიკა არის ადგილობრივებთან, მათ წინაშე არსებული რისკების შესახებ კომუნიკაციის კარგი მაგალითი.
- უსაფრთხოების და რისკის შემცირების შესახებ განათლების სისტემაში საკითხების დანერგვა, ყველა საფეხურზე არგის მყარი ბაზისი რისკის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად და მზადყოფნის უზრუნველსაყოფად მთელს საზოგადოებაში, ბავშვებიდან დაწყებული.

რეკომენდაცია:

- უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადეთ რისკის შეფასების შედეგები. ისინი უნდა იქნას გამოქვეყნებული და გავრცელებული მთელს ქვეყანაში. ეროვნული გარემოს დაცვის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენები, სხვა სექტორული რისკის შესახებ ინფორმაცია და ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმაციის ნაწილი ეროვნული საფრთხის შეფასებაში წარმოადგენს კარგ ბაზისს უფრო მეტად სისტემატიზებული რისკის კომუნიკაციის კამპანიისთვის, რაც მოიცავს საზოგადოების ცნობადობის ამაღლებას იმ რისკებთან დაკავშირებით, რასაც ისინი შეიძლება გადააწყდნენ და იმ ქმედებების განხორციელების განსაზღვრას, რისი გაკეთებაც მათ შეუძლიათ (პრევენცია, მომზადება, სწრაფი რეაგირება და აღდგენა)
- მხედველობაში მიიღეთ რისკის კომუნიკაცია ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში 17 ფუნქციის შესაბამისად. დაამუშავეთ ეს სექტორული სტრატეგიები, იმისთვის, რომ მოხდეს მათი ადგილობრივ დონეზე გამართვა. მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, ადგილობრივ დონეზე არსებობს ყველაზე კარგი პოზიცია, იმისთვის, რომ მოხდეს ცოდნის კომბინირება, ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა, ადგილობრივი ტრენინგების და ვარჯიშების გატარება და ადგილობრივი რისკის შესახებ განათლების მიწოდება სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, ისეთი მიდგომით, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ადგილობრივ მოსახლეობას და მათ ხასიათს. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და გარემოს ეროვნული სააგენტო არის კარგად აღჭურვილი იმისთვის, რომ დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს ამის მცდელობაში, განსაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტებს, რომლების ტერიტორიაზე განსაკუთრებით მაღალი რისკ ფაქტორები არსებობს, ან განსაკუთრებით დაბალია რისკის კომუნიკაცია. ამასთან საერთაშორისო მაგალითების და პრაქტიკის გამოყენება არის შესაძლებელი ეფექტურად.
- უფრო მეტად განავითარეთ რისკის შესახებ განათლების სტრატეგია არსებული რისკის შესახებ განათლების ბაზისის პროგრამის გამოყენებით, მისი განვითარება შესაძლებელია

საერთაშორისო მაგალითების საფუძველზე (მაგალითად ისეთის როგორცაა „სამოქალაქო უსაფრთხოების საბავშვო თამაშები“) და ბავშვების სასკოლო განათლებასა და ზრდასრულების და ბავშვების მუნიციპალურ ტრენინგებს და სავარჯიშოებს შორის კავშირის შექმნით.

- განსაზღვრეთ საჯარო კონსულტაციის პოლიტიკა შეფასებებისთვის და გეგმებისთვის საფრთხეების განსხვავებული ტიპებისთვის ყველა დონეზე. ამ შემთხვევაშიც ევროკავშირის წყალდიდობის და წყლის რესურსების მენეჯმენტის დირექტივების გამოყენება არის შესაძლებელი.
- გამოიკვლიეთ სოციალური მედიისა და ინტერნეტის საშუალებით რისკის კომუნიკაციის შესაძლებლობა. რამდენიმე ქვეყანას აქვს სამაგალითო ვებ საიტები, პლატფორმები და აპლიკაციები რისკის კომუნიკაციისთვის და მთელი მოსახლეობისთვის გადაცემისთვის, იმის შემეცნებისთვის, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოსახლეობას თავად.

4. ადრეული შეტყობინება


მიზანი: ადრეული შეტყობინების სისტემები არის დამონტაჟებული ყველა მაღალი რისკის მატარებელ არეალებში და მათ გააჩნიათ ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა.

4.1 საფრთხეების მონიტორინგი და აღმოჩენა

ცენტრალური ფოკუსი სამოქალაქო უსაფრთხოების და კატასტროფისგან დაცვისას არის სწრაფი შეტყობინება და განგაშის სისტემა, იმ შემთხვევაში თუ წარმოიშობა კატასტროფა. მთიან საქართველოში ბუნებრივი საფრთხეები წარმოადგენს უსაფრთხოების რისკს, ძალიან ბევრ რეგიონში: წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები, ქანების მოძრაობა და კლდეების ჩამოშლა საფრთხეს უქმნის ადამიანებს, მათ სიცოცხლეს, გარემოს, მათ დასახლებებს და ეკონომიკურ არეალებს, სატრანსპორტო გზებს, მარაგებს და ინფრასტრუქტურას. სხვადასხვა სფეროებში ზრდასთან ერთად მოსახლეობის უსაფრთხოების და დაცვის ზომების მიღება უფრო და უფრო საჭირო ხდება. საქართველოში საფრთხეების მონიტორინგის ძალიან დიდი ისტორია არსებობს, ადრეული გაფრთხილების და საგანგაშო სისტემის კუთხით. თუმცა, მონიტორინგის აქტივობები შემცირდა 1991 წლის შემდეგ. მხოლოდ ბოლო წლების განმავლობაში მოხერხდა ინფრასტრუქტურაში საფრთხეების მონიტორინგი და ამჟამად მიმდინარეობს მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების რეგისტრაციის განვითარება.

საქართველოში რამდენიმე ეროვნული სააგენტო მუშაობს სხვადასხვა სახის ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგზე. კერძოდ ეროვნული გარემოს დაცვის სააგენტო პასუხისმგებელია ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს დაბინძურებით პროცესებზე, მაშინ როდესაც სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრი ილიას უნივერსიტეტში და გეოფიზიკის ინსტიტუტი პასუხისმგებელია როგორც სეისმოლოგიურ საფრთხეებზე ასევე მეორადი ბუნებრივი საფრთხეების შეფასებაზე, რაც გამოწვეულია მიწისძვრების შედეგად.¹⁵ სატყეო ხანძრების საფრთხეების მონიტორინგი ეროვნული სატყეო სააგენტოს კომპეტენციაში შედის. (იხ. ნახაზი 2)

¹⁵ თუმცა, სეისმური მონიტორინგის ცენტრის როლი არ არის დადგენილი კანონმდებლობით



ნახაზი 3 – საფრთხის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სააგენტოები

გეოლოგიის დეპარტამენტი არის კარგად სტრუქტურირებული და სავსეა ექსპერტებით, რომლებსაც აქვთ ძალიან კარგი ცოდნა ეროვნული ტერიტორიებისა და განსაკუთრებით იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებსაც ზიანი მიადგათ მეწყერებისა და ქანების ჩამოშლის გამო.. წელიწადში ერთხელ ქანების ჩამოშლასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბიულეტენი ქვეყნდება გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ. ეს ბიულეტენი წარმოადგენს მაღალი ხარისხის დოკუმენტს. ის შეიცავს მონაცემებს, რომელიც გამომდინარეობს მონიტორინგის აქტივობებიდან, ისტორიულ მონაცემებს, ნალექის მილიმეტრების დადგენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქანების ჩამოშლა და ღვარცოფები (წვიმიანობის ზღვარი) და აშ. ამასთან ყოველი დადგენილება ყოველი მუნიციპალიტეტი იყოფა 4 კატეგორიად : საფრთხის დონეების შესაბამისად. ქანების ჩამოშლისთვის თითოეული ბიულეტენი შეიცავს ცხრილებს, რომლებშიც გაწერილია ინფორმაცია იმ არეალების შესახებ, რომლების დაზარალება სტიქიის შედეგად, ფენომენის ტიპს, რეგისტრირებულ ზარალს და შერბილების ზომებს (როგორც სტრუქტურულს ისე არა სტრუქტურულს). ყველა ამ ზომას ენიჭება პრიორიტეტი და გეოლოგიის დეპარტამენტი, ბიულეტენის გამოცემის შემდეგ, ახორციელებს მონიტორინგს ამ ზომების იმპლემენტაციის შესამოწმებლად, თუმცა არ აქვს ოფიციალური ვალდებულება, რომ ეს გააკეთოს. ბიულეტენში ასევე დატანებულია GIS რუკები სხვადასხვა მეწყერის ადგილმდებარეობის და კლასიფიკაციის მითითებით.

საქართველო არის მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრი. ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტი მუშაობს 24/7 და მას ახლო კონტაქტი აქვს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს სხვა დეპარტამენტებთან, რომლებსაც აწვდის ამინდის პროგნოზებს და საფრთხილებებს მკაცრი ამინდის პირობები არსებობის შემთხვევაში. ჰიდროლოგიური დეპარტამენტი იღებს ამ მონაცემებს მთავარი სადგურებიდან და ავრცელებს მთელს ქვეყანაში, თუმცა ყველა მათგანი არ წარმოადგენს ავტომატური რეჟიმის სადგურებს. ჰიდროლოგიური დეპარტამენტი ფლობს ძალიან ბევრ ისტორიულ მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ მონაცემს, რომლებიც ეყრდნობა ქსელების კარგ დაკვირვებას ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველო დამოუკიდებელი გახდებოდა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში აღნიშნული დაკვირვების ქსელი დეგრადირდება და მონაცემთა რაოდენობაც შესაბამისად იკლებდა. დღეს არსებობს მხოლოდ ერთი დაინსტალირებული რადარი რომელიც ეკუთვნის კერძო კომპანია დელტას და ძირითადად გამოიყენება სეტყვის დასადგენად. ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტი მუშაობს შეთანხმებაზე, იმისთვის, რომ მიიღოს ეს ინფორმაცია. უახლოეს მომავალში მეტეოროლოგიური რადარის უზრუნველყოფა მოხდება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან და ის დამონტაჟდება დასავლეთ საქართველოში.

ჰიდროლოგიის დეპარტამენტი მუშაობს ჰიდრო მეტეოროლოგიის დეპარტამენტთან მჭიდრო კავშირში. მდინარეების საფრთხეებთან დაკავშირებული მონაცემები, ასევე წყლის ხარისხთან დაკავშირებული მონაცემები ხშირად ქვეყნდება ვებ საიტზე (ყოველ თვე). ორივე დეპარტამენტი მუშაობს ევროკავშირის წყალდიდობის დირექტივის შემუშავებაზე (2007/60/CE), თუმცა ეს იდეა ჯერ ინიციატივის დონეზე არსებობს.

საქართველოს ზვავის და ნიაღვრის კონტროლის ახალი სააგენტო პასუხისმგებელი იქნება საფრთხის ზონების გეგმის შექმნაზე და ტექნიკური და სატყეო ბიოლოგიური კონტროლის ზომების იმპლემენტაციაზე, ასევე ნიაღვრის და ზვავის საშიშროების არეალის ადმინისტრირებაზე მოსალოდნელ ლოკაციებზე, იმისთვის, რომ დაცული იყოს ალპური ბუნებრივი საფრთხეებისგან დაცვის საზოგადო ინტერესი.

საბოლოო ჯამში, ჩანს, რომ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო არის უფრო მაღალ დონეზე გეოლოგიის სფეროში, ვიდრე ჰიდროლოგიაში. მეწყერის საშიშროების აღმოჩენა ხდება ეფექტურად მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე. სხვა საფრთხეები ამ ცოდნის ამ დონეს ჯერ ჯერობით ვერ აღწევს (მაგალითად წყალდიდობა)

ეფექტური პრაქტიკა:

- ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტს აქვს ახლო კავშირი გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან. ეს კავშირებს საფრთხეების ტექნიკურ ექსპერტიზას საგანგებო სიტუაციების მართვასთან და მის ერთ-ერთ მთავარ მიზანთან, რომ შეტყობინებების და გაფრთხილებების გავრცელება მოხდეს ეფექტურად.
- ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტი მხედველობაში იღებს წვიმიანობის ზღვრებს, რაც დადგენილია გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ საინფორმაციო ბიულეტენებში და იყენებს მას განგაშისა და შეტყობინებისთვის.

რეკომენდაცია:

- განავითარეთ ძირითადი სადგურების ქსელი, იმისთვის, რომ დაიფაროს მთლიანი საქართველოს ტერიტორია და განავრცეთ არსებული საშიშროების მონიტორინგის ქსელი, რაც შეეხება შეტყობინების სისტემებს, აუცილებელია, რომ არსებობდეს მყარი აზომვების და დაკვირვების სისტემა. სახელმწიფო დონეზე ამ ქმედებების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების გადანაწილება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც იმპლემენტაციისთვის ასევე ქსელების კეთილმოწყობისა და განახლებისთვის.
- შეიმუშავეთ და განაახლეთ მონაცემები და GIS რუკები მთლიანი ტერიტორიისთვის, როგორც კარგი საფრთხის მონიტორინგის ბაზისი
- განსაზღვრეთ და გამოიყენეთ, საჭიროებისამებრ, გაფრთხილების დონეების ზღვრები, რაც უკავშირდება წვიმიანობის ოდენობას (მდინარეების დონეების ცვლილებასა და გადატვირთვასთან ერთად) იმისთვის, რომ მოსახლეობა გააფრთხილოთ, რომ მოხდეს მყისიერი სამოქალაქო დაცვის სისტემის აქტივაცია.
- განავითარეთ მონიტორინგის სისტემა სპეციფიკურ არეალში, ვებ კამერებით ახალი მიმდინარე ფოტოების ჩვენებით და ადგილობრივი მეტეოროლოგიური კონტროლით.

- გამოიყენეთ ერთი ვებ პლათფორმა იმისთვის, რომ გაავრცელოთ სტატიკური მონაცემები სხვადასხვა სახის საფრთხეებთან დაკავშირებით ყველა სააგენტოს და სამინისტროს (ასევე დაინტერესებულ მხარეებს) შორის, რომლებიც ჩართული არიან რისკის მენეჯმენტში (პრევენციაში, მზადყოფნაში, რეაგირებაში და აღდგენის ფაზებში). ამასთან რეკომენდირებულია ოფიციალური პროგრამის არჩევა მთლიანი ქვეყნის ფარგლებში, იმისთვის, რომ საუკეთესო სამუშაო მექანიზმები გამოიყენოთ სხვა ქვეყნებში არსებული წარმატებული გამოცდილების შესაბამისად.

4.2 განგაში

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტი მუშაობს 24/7 365 დღე. გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია გააგზავნოს შეტყობინებები ელ-ფოსტის საშუალებით რელევანტურ სახელმწიფო სააგენტოებში (პირველ რიგში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში). დეპარტამენტებში, ადგილობრივ ორგანოებში და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მაგალითად, თუ მეწყერსაშიშ ზონაში მოსალოდნელია, რომ ნალექიანობა დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს, კონკრეტული შეტყობინება ეგზავნება ადგილობრივ ორგანოს და სხვა ჩართულ დაინტერესებულ პირებს. შეტყობინება აღწერს მოსალოდნელ ფენომენს, დაახლოებით დროს და ლოკალიზაციას, თუმცა არ არის მითითება მოსალოდნელ ზეგავლენაზე. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ასევე აქვეყნებს ინფორმაციას ვებ საიტზე. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს აქვს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ნომერი და ასევე შეუძლიათ დაეკონტაქტონ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს 112-ის საშუალებით.

მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ექსპერტებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი შეიძლება გაიგზავნოს საფრთხის ტერიტორიაზე, რომ დაეხმარონ ადგილობრივ ორგანოებს. ისინი ატყობინებენ ადგილობრივ ინსტიტუტებს ფენომენის აღმოცენებაზე (მეწყერი, ღვარცოფი), იმ ტერიტორიის შესახებ, რომელიც შეიძლება დაზარალდეს, სთხოვენ სტრუქტურებს, რომ მოახდინონ ევაკუაცია თუ საფრთხე განვითარებას არ შეწყვეტს.

გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს ახლო კავშირი აქვს 112-თან: ისინი ცხელი ხაზით არიან დაკავშირებული. 112-ის ცენტრი იღებს ამინდის შესახებ გაფრთხილებას გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოსგან და თუ საჭიროა და თუ შესაძლებელია, შეტყობინებებს ამინდთან დაკავშირებული სტიქიის დროს. 112-ის ცენტრს თბილისში შეუძლია ფეიჯერებზე გაგზავნოს განგაშის სიგნალი მთელს საქართველოში. პარალელურად, პროვინციული ან ლოკალური განგაშის სიგნალები ირთვება რაიონის მენეჯმენტის ცენტრებიდან მაღალი საშიშროების არსებობის შემთხვევაში. თუმცა 112-ის ცენტრი არ ატყობინებს გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემოსული ზარების (მოთხოვნილი დახმარების) შესახებ სპეციფიური ამინდთან დაკავშირებული სტიქიის შემთხვევაში და არ აგზავნის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში ურთიერთკავშირის ოფიცერს და არც საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზაში იღებს მონაწილეობას. ხდება მხოლოდ ერთი მხრიდან ინფორმაციის მიწოდება, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან (გაფრთხილების შეტყობინებები) 112-ისთვის, თუმცა არ ხდება ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა, მიუხედავად იმისა, რომ 112-ს აქვს ძალიან ბევრი გამოსადეგი ინფორმაცია მიმდინარე საგანგებო სიტუაციის მენეჯმენტისთვის.

ამ ეტაპზე არ არსებობს მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის მოსახლეობისთვის: ხალხი ინფორმაციას იღებს ვებ პორტალიდან, ტელესივრციდან და რადიოდან. ტელე და რადიო სივრცეები ინფორმაციას იღებენ ადგილობრივი ორგანოებისგან, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოსგან და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსგან. თუმცა რამდენიმე ადგილობრივი ადრეული შეტყობინების სისტემა დამონტაჟდა საქართველოში რამდენიმე ადგილას, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და პროექტების ფარგლებში. ამჟამად გაეროს განვითარების პროგრამა ეხმარება საქართველოს წყალდიდობის პროგნოზის წინასწარი შეტყობინების სისტემის დამონტაჟებაში საქართველოს დასავლეთ ნაწილში, და ასევე აწოდებს საქართველოს ჰიდროლოგიურ მოდელს და სთავაზობს ტრენინგებს გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს ოფიცრებს.

ყვარლის მუნიციპალიტეტზე ზეგავლენას ახდენს ღვარცოფი და ჩამონახალი. 2013 წელს გარემოს დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ და მუნიციპალიტეტმა შეიმუშავეს ადრეული შეტყობინების სისტემების პროექტი. ამავდროულად გაეროს განვითარების პროგრამას ჰქონდა იგივე სახის პროექტი იმავე მდინარის მეორე ნაპირზე. ორივე სისტემა იყენებს განსხვავებულ პროგრამას, თუმცა ერთ მონაცემთა ბაზას. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო ამუშავებს მონაცემებს ორივე სისტემიდან. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოსგან და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ინფორმაციას აწვდის მერს, როგორც კი მდინარე დასაშვები დონის ზღვარს გადააჭარბებს. მერი იღებს გადაწყვეტილებას გაააქტიუროს თუ არა სირენები, მას შემდეგ რაც სთხოვს ადგილობრივ პოლიციას, რომ შეამოწმოს მიმდინარე სიტუაცია ადგილზე. სირენის სიგნალი მხოლოდ ერთი სახის არსებობს, რაც გულისხმობს მოსახლეობის ევაკუაციას. არ არსებობს განსხვავებული შკალა ან შეფასების სისტემა საგანგებო სიტუაციებში (პირველი გაფრთხილება, მეორე გაფრთხილება), არც სტანდარტიზება საქართველოში არსებული საგანგებო სისტემების. ყვარლის სირენების სიგნალის გაგონება შიძლება ქალაქის ყველა კუთხიდან (ამის შესამოწმებლად ჩატარდა ექსპერიმენტები) და ტრენინგის პროგრამა განხორციელდა მაცხოვრებლებისთვის, რომ აეხსნათ როდის რა უნდა გააკეთონ, საგანგებო სიტუაციის დროს.

საგანგებო სისტემები (სირენები) მარაგდება საზოგადოებრივი ელექტრო ენერჯის ქსელით და არ აქვთ ავტონომიური ელემენტების ენერჯია, ამიტომ, თუ ელექტროენერჯია არ მიეწოდა სირენას მოსახლეობის გაფრთხილება ვერ მოხდება სირენების მეშვეობით. ასევე, სირენების ფუნქციონირება არ მოწმდება რეგულარულად. მეტიც, ისინი დამონტაჟებულია შენობაში, რომელიც განთავსებულია წყალდიდობის არეალში და არ არის დამონტაჟებული მდგრადი გადახურვა. მიუხედავად იმისა, რომ ტესტებმა აჩვენა, რომ სიგნალის გაგონება ქალაქის ბოლოდანაც არის შესაძლებელი, როგორც ჩანს სირენების დამონტაჟებისას არ მომხდარა მისი ელექტრო აკუსტიკური შესწავლა, რაც გაითვალისწინებდა ხმის გავრცელების ყველა ელემენტს, მოსახლეობის სიმჭიდროვეს და გეოგრაფიულ ბარიერებს. მიუხედავად იმისა, რომ სირენები დამონტაჟებულია ისეთ ადგილებში, სადაც მარტივია ინსტალაცია და მისი კეთილმოწყობა, ისინი შეიძლება არ აღმოჩნდნენ ეფექტურები საგანგებოდ. (ნახაზი 3)



ნახაზი 4 – სირენა ყვარელში

ეფექტური პრაქტიკა:

- არსებობს მყარი ინსტიტუციური სტრუქტურა (გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დეპარტამენტი), რომელიც ახორციელებს პროგნოზირებას და მონიტორინგს 24/7 365 დღის განმავლობაში.
- როგორც ჩანს ადრეული შეტყობინების სისტემა დამონტაჟდა (უმეტესწილად საერთაშორისო ორგანიზაციების და პროგრამების მიერ დაფინანსებული) მომხმარებლებთან კოორდინაციით და ახლო თანამშრომლობით
- ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად ყვარელი) ადგილობრივი ადრეული შეტყობინების სისტემა დამონტაჟებულია და მოსახლეობამ ამის შესახებ კარგად იცის, ქუჩაში საინფორმაციო პლაკატების, პანელების განთავსებიდან გამომდინარე და საგანგებო სიტუაციებისთვის ტრენინგების/ ვარჯიშების საშუალებით

რეკომენდაცია:

- გააერთიანეთ ან დააკავშირეთ ყველა განსხვავებული მონიტორინგის და განგაშის სისტემა ერთ ეროვნულ საგანგაშო და გაფრთხილების ქსელში ან ცენტრში, ერთიანი ბაზის შესაქმნელად იმისთვის, რომ მოხდეს საგანგებო სიტუაციების მაშველებთან მარტივი კონტაქტი (სახანძროები, სასწრაფოები, პოლიცია) და გაავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებაში, და ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან. ცენტრალური საგანგაშო და გაფრთხილების ცენტრის არსებობა რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ექსპერტები, რომლებიც ამოძრავებენ ამ სისტემას და არიან პასუხისმგებელი თავიანთი ადრეული შეტყობინების სისტემებზე, არ უნდა იყვნენ ჩართული ან დაკავშირებული მიდინარე პროცესებში. ექსპერტები სხვადასხვა საფრთხის სფეროებში რჩებიან პასუხისმგებლები რომ გააანალიზონ ყველა შემოსული მონაცემი და განსაზღვრონ ზღვრები ავტომატური ან ნახევრად-ავტომატური სისტემებისთვის.
- ხელი შეუწყვეთ ინფორმაციის გავლას საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ცენტრთან და 112-ის ცენტრთან, გაუზიარეთ 112-ისოფიცერი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (112-ს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია დახმარების საჭიროების შესახებ და მიმდინარე პროცესების შესახებ, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შეუძლია მიაწოდოს 112-ს გამოსადეგი ინფორმაცია, რომ მოხდეს ხალხის ეფექტური დახმარება უმოკლეს დროებში). კარგი იქნება უნიკალური GIS პლატფორმის შექმნა მონაცემების გაცვლისთვის.

- დაამატეთ მოსალოდნელი ზეგავლენის მითითება პროგნოზის ფენომენში, როგორც კი შესაძლებელი იქნება, გაფრთხილების შეტყობინებებში, იმისთვის, რომ ინსტიტუტები, ადგილობრივი ორგანოები და საზოგადოება უკეთ მოემზადოს.
- განსაზღვრეთ და გამოიყენეთ, შემდგომში დაგვარად, გაფრთხილების სხვადასხვა დონეები, რაც დაკავშირებული იქნება აქტივაციის სისტემასთან ადგილობრივ დონეზე, იმისთვის რომ ადრეული გაფრთხილების სისტემა გახდეს უფრო ეფექტური.
- შეიმუშავეთ ეროვნული რეგულაცია განგაშის შესახებ, რომ შეიმუშავდეს სტანდარტები:
 - ადრეული გაფრთხილების შეტყობინებების შინაარსისთვის და პროგნოზისთვის.
 - შეტყობინებების ფართომასშტაბიანი გავრცელებისთვის და პროგნოზებისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადრესატების მხრიდან მათი მიღება.
 - შეტყობინებების სიხშირისთვის, რომლებიც შეიცავენ მიმდინარე ფენომენის აღწერას და მოკლე ვადაში მოსალოდნელ განვითარებას, სერიოზული სტიქიების დროს.
 - სირენების ინსტალაციისას აუცილებელია გაიდლაინების შემუშავებაც.
 - სირენის სიგნალების გამოყენება: საფრთხის ტიპი (მოსალოდნელი თუ მყისიერი საფრთხე), საფრთხის დასასრული, ხანძრის განგაში (მხოლოდ მუხანძრეებისთვისაა გათვალისწინებული უმეტესწილად ადგილობრივ დონეზე), გაფრთხილების სიგნალის ხანგრძლივობა (წამებში), გაფრთხილების სიგნალის აღწერა (ყმუილი, განგრძობადი, ინტერმიტირებული და სხვა) და განსახორციელებელი ქმედებების ინსტრუქციები.
 - პოსტერების დიზაინი, მიღების მეთოდოლოგია და პოსტერების გამოფენა საზოგადოებრივ ადგილებში.
 - განგაშის სირენის საშუალებით დაწყებაზე პასუხისმგებელი უწყებები (ცენტრები) და ტექსტური შეტყობინებები, იმასთან დაკავშირებით, რაც ტელევიზიით და რადიოთიც გადაიცემა.
 - გამოიყენეთ რადიო სადგურები, სატელევიზიო სადგურები და სხვა ელექტრონული მედია და მათი ვალდებულება, რომ გაავრცელონ გამაფრთხილებელი ინფორმაცია ან მესიჯები, ეს უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც საზოგადოება გაფრთხილებული იქნება სირენების მეორ.
 - სისტემის რეგულარული ტესტირება კონკრეტული სირენების სიგნალის ტიპისთვის და ტესტირების ცხრილის მომზადება. ამ გზით მოსახლეობას ეცოდინება, რომ ეს არის ტესტირება და არა რეალური საგანგებო სიტუაცია (რამაც შეიძლება პანიკა გამოიწვიოს)
- დააწესეთ სტანდარტები ტექნიკურ მოთხოვნებზე ადრეული შეტყობინების სისტემებისთვის:
 - ორი განსხვავებული, დამოუკიდებელი სიგნალის მიწოდების ქსელი (მაგალითად ერთ-ერთი TETRA რადიოთი)
 - ჭარბი ენერჯის მომარაგება, ყველა კომპონენტისთვის, მათს შორის სირენებისთვის ადგილობრივ საზოგადოებაში.
 - მონიტორინგის სისტემასთან წვდომა ყველა ორგანოსთვის და საგანგებო სიტუაციების სერვისებისთვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის დავალებით, მაგალითად სახანძრო ბრიგადები, დახმარების და გადარჩენის ორგანიზაციები საქართველოში
 - სისტემა უნდა შემოწმდეს (სატესტო განგაში) ყოველკვირეულად მაქსიმუმ ყოველთვიურად.

- გამოიყენეთ დამატებითი საკომუნიკაციო ინსტრუმენტები იმისთვის, რომ გაავრცელოთ გაფრთხილებები საზოგადოებაში (მაგალითად მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემა, და სოციალური მედია)

სპეციალურად ყვარლის ადრეული შეტყობინების სისტემისთვის:

- განავითარეთ და შეიმუშავეთ ახალი განგაშის პროცედურები (გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო - მერი - პოლიცია - საგანგებო სიტუაციების სერვისი - საზოგადოება) იმისთვის, რომ მოიგოთ დრო და სისტემა უფრო ეფექტური გახადოს. შეზღუდული გაფრთხილების დრო უნდა განისაზღვროს, იმისთვის რომ მოხერხდეს მოსახლეობის ევაკუაცია და სამოქალაქო დაცვის სისტემის აქტივაცია.
- შეამოწმეთ სირენები დამონტაჟებულია თუ არა სწორი ელექტრო აკუსტიკური სწავლების შესაბამისად, რაც გარანტირებულს გახდის განგაშის ეფექტურობას და საზოგადოებამდე მიწოდებას კონკრეტულ არეალში, რომელსაც საფრთხე ემუქრება.
- ავტონომიური ენერჯის წყაროს გამოყენება და სირენების რეგულარული ტესტირება რეკომენდირებულია.

4.3 ადრეული შეტყობინების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის დაგეგმვა

საქართველოში მერები არიან სამართლებრივად პასუხისმგებელი ევაკუაციაზე. ადგილობრივი საგანგებო სიტუაციის გეგმა მოიცავს მზადყოფნას ადრეული შეტყობინებისთვის (თუ ასეთები არსებობს მუნიციპალიტეტში). მაგალითად ადრეული შეტყობინების სისტემა ყვარელში ჩართულია საგანგებო სიტუაციის რეაგირების გეგმაში, და დაკავშირებულია ეროვნული რეაგირების გეგმასთან. გეგმა მოიცავს ყველა საფრთხეს რეგიონისთვის (წყალდიდობა / ღვარცოფი წარმოადგენს ყველაზე მაღალ რისკს) და აღწერს 4 სტადიას: პრევენციას, მზადყოფნას, რეაგირებას და აღდგენას. გეგმა სახავს როლების უწყებებისთვის და ასევე უზრუნველყოფს რუკებს. სისტემებში ყოველთვის არის გაფრთხილების დონე, საშიშროების დონე და კატასტროფის დონე. თუმცა სირენის სიგნალი მხოლოდ ერთი სახის არსებობს. ყვარლის არეალის საგანგებო სიტუაციის გეგმა შეიძლება ჩაირთოს შეტყობინების შედეგად ადრეული შეტყობინების სისტემის საფუძველზე, გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ. გარემოს დაცვის სააგენტო ატყობინებს მერს როდის აჭარბებს მდინარე ზღვარს. მერი გადაწყვეტს უნდა გააქტიუროს თუ არა სირენა, მას შემდეგ რაც სთხოვს ადგილობრივ პოლიციას, რომ შეამოწმოს მიმდინარე სიტუაცია ადგილზე. საგანგებო სიტუაციის გეგმაში არსებობს სპეციალურ მითითება 112-ის სამსახურის გამოსაყენებლად, თუმცა 112-ის ეროვნულმა ცენტრმა ამის შესახებ სავარაუდოდ არ იცის. 112-ის ცენტრი თავის საგანგებო სიტუაციის გეგმაში არ ითვალისწინებს ადგილობრივ საგანგებო სიტუაციის გეგმებს.

ყვარლის საგანგებო სიტუაციის გეგმის იმპლემენტაციის პროგრამის ნაწილი გატარდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან. მათ ეცნობათ რუკებისა და სარისკო ზონების და ევაკუაციის მარშრუტების განთავსების შესახებ ქალაქში. 2016 წელს ტრენინგების ახალი ეტაპი დაიწყო და ინფორმაცია მოსახლეობას კარდაკარ მიეწოდება. საქართველოს წითელი ჯვრის მოხალისეები ჩართული იქნებიან ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში, ისევე როგორც დაგეგმილ, ერთობლივ სიმულაციურ სავარჯიშოებში. საგანგებო სიტუაციების რუკები გაზიარებულია გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს

რეკომენდაციებს, რომ არ განხორციელდეს მშენებლობა ზოგიერთ ზონაში, თუმცა ეს არ არის სავალდებულო.

ეფექტური პრაქტიკა:

- გეოლოგების დროებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სხვა ექსპერტები გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან, გადიან ქალაქგარეთ იმისთვის, რომ მოახდინონ რუკების შექმნა, ევაკუაციის მარშრუტების დატანა, და იმისთვის, რომ მიაწოდონ ინფორმაცია ადგილობრივ ორგანოებს და ხალხს.
- რუკები ევაკუაციის მარშრუტებით არის კარგად გავრცელებული საზოგადოებაში, ვინაიდან ისინი განთავსებულია მთელს ქალაქში, როგორც მინიმუმ ყვარელში.
- სავარჯიშოების / წვრთნების ჩატარება იმისთვის, რომ დაიტესტოს და დაიხვეწოს სამოქმედო გეგმა და ადგილობრივი რეაგირების დონე.
- საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ფილიალის წარმომადგენელი ეხმარება მერს, რომ შეადგინოს საგანგებო სიტუაციის გეგმა სწორად და ასევე ეხმარება მას საგანგებო სიტუაციისას მენეჯმენტის საკითხებში.

რეკომენდაცია:

- გაიდლაინების შემუშავება, მიღება და გავრცელება იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოხდეს ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების გეგმის შემუშავება და გადახედვა.
- მუნიციპალიტეტებს შორის მზადყოფნის ეფექტური პრაქტიკა უნდა იქნას გაცვლილი და გაზიარებული. საგანგებო სიტუაციების გეგმები უნდა იყოს საჯარო და კარგად ნაცნობი ადგილობრივი მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეებისთვის. ყვარლის შემთხვევა აჩვენებს, რომ პროგრამის იმპლემენტაციას და რისკის კომუნიკაციის სტრატეგია შეიძლება დაეხმაროს ხალხს, რომ იყვნენ ინფორმირებული და მომზადებული.

დანართი I ტერმინოლოგია და აბრევიატურები

ქვემოთ მოცემული განმარტებები გამიზნულია მხოლოდ აღნიშნული საექსპერტო დასკვნისთვის. ისინი უმეტესწილად ეფუძნება ევროკავშირის კანონმდებლობას და გაიდლაინებს. სადაც ვერ მოხდა ოფიციალური, ევროკავშირის განმარტების მოძიება, გამოყენებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტოს (შემდგომში „UNISDR“) განმარტებები¹⁶.

განმარტებები

საგანგებო გარემოებების დაგეგმარება (Contingency planning) მენეჯმენტის / მართვის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება სპეციფიკური პოტენციალის მქონე მოვლენების ან აღმოჩენილი გარემოებების ანალიზი, რომლებმაც შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენონ საზოგადოება ან გარემო და პროცესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება წინასწარ, დროულად, ეფექტურად და შესაბამისი ქმედებების განხორციელებით მსგავსი მოვლენების და სიტუაციების თავიდან არიდება;

ბუნებრივი კატასტროფა (Disaster) განეკუთვნება ყველა სიტუაციას, რომელმაც შეიძლება იქონიოს გავლენა ადამიანებზე, გარემოზე, საკუთრებაზე, მათს შორის კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე;

საგანგებო მდგომარეობის სერვისები (Emergency services) მიესადაგება სპეციალური სააგენტოების ერთიანობას, რომელთაც აკისრიათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობები და მიზნები ხალხის დაცვაში და მათთვის მსახურობაში საგანგებო სიტუაციების დროს;

საექსპერტო დასკვნა (Peer review) არის სამთავრობო მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხდება გარკვეულ საკითხებში / სფეროებში (ამ შემთხვევაში რისკის მენეჯმენტი / სამოქალაქო უსაფრთხოება) საჭირო ქმედებების შესრულების შემოწმება თანასწორობის პრინციპის საფუძველზე სხვა ქვეყნების მოქალაქე პროფესიონალი ობიექტური ექსპერტების მიერ;

მზადყოფნა (Preparedness) ადამიანური და მატერიალური რესურსების, სტრუქტურების, საზოგადოებების და ორგანიზაციების მზადყოფნის და უნარიანობის მდგომარეობა, რაც მიღწეულია წინასწარი მოქმედების საფუძველზე და კატასტროფაზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების საშუალებას იძლევა.

პრევენცია (Prevention) არის ქმედება, რომელიც გამიზნულია რისკების შემცირებასთან ან კატასტროფის გვერდითი მოვლენების / შედეგების შემსუბუქებასთან ადამიანებისთვის, გარემოსა და საკუთრებისთვის, მათს შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის;

მოქნილობა (Resilience) არის სისტემის, საზოგადოების ან მოსახლეობის შესაძლებლობა, რომელიც გამჟღავნდება საშიშროებისთვის წინააღმდეგობის გაწევის, აბსორბირების, შეგუების და მისგან გამოწვეული შედეგებიდან აღდგენისას დროულად და ეფექტური გზით, მათს შორის მისი ძირითადი სტრუქტურების და ფუნქციების შენარჩუნება და აღდგენა.

რეაქცია / პასუხი (Response) არის ქმედება, რომელიც ხორციელდება ეროვნული ან ქვეეროვნული დონეზე მოახლოებული ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში, ან მის დროს ან კატასტროფის

¹⁶<http://www.unisdr.org/we/inform/terminology>

შემდეგ, კატასტროფის მიერ გამოწვეული გვერდითი მოვლენების დადგომის შემთხვევაში;

რისკის მენეჯმენტის შესაძლებლობა (Risk management capability) ეს არის წვერი სახელმწიფოს, ან მისი რეგიონის შესაძლებლობა, რომ შეამციროს, შეეგუოს რისკებს ან შეამსუბუქოს რისკები (მათი გავლენა და კატასტროფის მსგავსი მოვლენები) იმ დონეზე, რომელიც გათვალისწინებულია რისკის შეფასების დასკვნებში, და რომელიც მისაღებია აღნიშნული წვერი სახელმწიფოსთვის. რისკის მენეჯმენტის შესაძლებლობა ფასდება ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული ქმედებების ადეკვატური გატარების შესაძლებლობების მიხედვით:

- (a) რისკის შეფასება;
- (b) რისკის მენეჯმენტის დაგეგმვა პრევენციისა და მზადყოფნისთვის;
- (c) რისკის პრევენციის და მზადყოფნის ზომები;

დაინტერესებული მხარეები (Stakeholders) არიან პირები, რომლებსაც აქვს ინტერესები ბუნებრივი კატასტროფების რისკის მენეჯმენტში, და რომლებიც მოიცავს სხვათა შორის, სამეცნიერო საზოგადოებებს (მათს შორის საინჟინრო, გეოგრაფიული, სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკურიდან გარემოს დაცვითი მეცნიერებები), პრაქტიკოსებს, ბიზნეს კომპანიებს, პოლიტიკოსებს, ცენტრალურ, რეგიონალურ ან ადგილობრივ მთავრობებს და საზოგადოებას ფართო გაგებით.

ქვეეროვნული დონე (Sub-national level) მიესადაგება რეგიონალურ, პროვინციულ ან ადგილობრივი მმართველობის დონეს, რომელსაც ევალუა ბუნებრივი კატასტროფის რისკის მენეჯმენტი.

აბრევიატურები

აბრევიატურა	განმარტება
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CIP	კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა
DRR	ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირება
EMA	საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო)
ERRA	ელექტრონული რეგიონული რისკების ატლასი
EWS	ადრეული გაფრთხილების სისტემა
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საზოგადოებრივი ორგანიზაცია)
MENRP	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MRA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
MRDI	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NEA	გარემოს ეროვნული სააგენტო
SSCMC	სახელმწიფო უშიშროების კრიზისების მართვის საბჭო
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
GRCS	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

დანართი II დაინტერესებულ მხარეთა მიმოხილვა

შემდეგი ინსტიტუტების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული საექსპერტო დასკვნის მომზადებაში:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) (EMA)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სივრცითი მოწყობის და ქალაქის დაგეგმარების დეპარტამენტი
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო(MENRP):
 - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
 - გეოლოგიის დეპარტამენტი
 - ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეების მართვის დეპარტამენტი
 - წყლის რესურსების მართვის დეპარტამენტი
 - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი
- განათლების სამინისტრო
- ჯანდაცვის სამინისტრო:
 - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC)
 - ბუნებრივი კატასტროფის კოორდინაციის დეპარტამენტი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო(MRA), ეკო მიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MOLHSA), საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (MRDI), ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და სწრაფი რეაგირების უწყება
- ყვარლის მუნიციპალიტეტი
- 112-ის ეროვნული ცენტრი, თბილისი
- გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო (NEA):
 - გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი
 - გეოლოგიის დეპარტამენტი
 - ჰიდრო - მეტეოროლოგიური განყოფილება
 - მოკლევადიანი პროგნოზირების განყოფილება
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების კატასტროფების მართვის დეპარტამენტი
- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო(SSCMC)
- სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხის საბრძოლო საბჭო
- ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტო
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

დანართი III დოკუმენტაციის ჩამონათვალი

შემდეგი დოკუმენტაცია იქნა გამოყენებული საექსპერტო დასკვნის მომზადებისას:

ნომერი	დოკუმენტაციის ტიპი	სახელი	ვერსია
1	ანგარიში	საქართველოში ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის პროგრესის ანგარიში	აპრილი 2015
2	ანგარიში	გაეროს განვითარების პროგრამის კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების შესახებ შეფასების ანგარიში, საქართველო	2014
3	ანგარიში	ყაზბეგის მთის / თერგის ხეობის ადრეული შეტყობინების სისტემის ანგარიში	2014
4	ანგარიში	ქვეყნის პროფილის პროექტი - ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების პრევენცია, მზადყოფნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში PPRD East-ის მეორე პროგრამა (პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება კატასტროფებზე)	ოქტომბერი 2015
5	ანგარიში	ბუნებრივი კატასტროფების რისკის ატლასი, საქართველო	2014
6	ანგარიში	საქართველოში სტატისტიკური დოკუმენტაციის შემუშავების საექსპერტო დასკვნა	ნოემბერი 2015
7	ანგარიში	გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო პროგრამა საქართველოში 2012 –2016	2012

დანართი IV თემატური მიმოხილვის ფარგლები

საექსპერტო დასკვნების შემუშავება ხდება სტანდარტული ჩარჩოების გამოყენებით, რომლებიც ეხმარება ექსპერტებს ინფორმაციის შემუშავებაში, განხილულ სახელმწიფოებში კატასტროფების რისკის შეფასების სტრუქტურის ანალიზში და იმის დადგენაში, თუ როგორ ხორციელდება არსებული პოლიტიკა. სტანდარტული ჩარჩო - პროგრამა შედგება მიზნებისგან, მოთხოვნებისგან და ინდიკატორებისგან, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა კატასტროფის რისკის მართვის სფეროებს. სამაგალითო კითხვები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ჩარჩოებში, შესაძლებელია იქნას გამოყენებული საექსპერტო დასკვნის ჯგუფის მიერ მოსამზადებელ ეტაპზე და მისიის დროსაც. ჯგუფებს აქვთ შესაძლებლობა დასვან დამატებითი კითხვები საექსპერტო დასკვნის მომზადების პროცესში.

მიზნები და მოთხოვნები არის საექსპერტო დასკვნის პოლიტიკის მთავარი შემადგენელი იდეა. დასკვნის კითხვები უნდა იყოს ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული დასკვნის მიზნებთან, კერძოდ ამ კითხვებზე პასუხები უნდა ავსებდეს იმ ინფორმაციას, რაც თავდაპირველად მიღებული ინფორმაციიდან არ იკვეთებოდა ან საერთოდ არ არსებობდა. ინდიკატორები

პოლიტიკის, მექანიზმების და მეთოდოლოგიების ძალიან დიდ და ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწილებს ფარავს და შესაძლებელია, რომ ექსპერტებმა ისინი გამოიყენონ ეფექტური პრაქტიკის განსასაზღვრად და სავარაუდო ნაკლოვანებების შესავსებად. ინდიკატორები არ წარმოადგენს საკონტროლო სიას, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქვეყნების შეფასების ფორმალური მისადაგება.

	მოთხოვნები		ძირითადი ინდიკატორები
1.1	ფარგლები: რისკის შეფასება შესაბამეა ზოგადად არსებულ ჩარჩოებს.	1.1.1	რისკის შეფასება ხორციელდება ნათელ სამართლებრივ ან / და პროცედურულ ფარგლებში
		1.1.2	რისკის შეფასების როლი ზოგადად კატასტროფის რისკის მართვაში განსაზღვრულია შესაბამისის ეროვნულ ან სუბეროვნულ დონეზე.
1.2	რისკის შეფასება Risk assessment: განახლებული, რამდენიმე სახის საფრთხესთან დაკავშირებული, რისკის შეფასებები, რომლებიც არის ერთიან მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომია სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა სექტორებში და არის დაკავშირებული კლიმატის შეცვლის ადაპტაციის სტრატეგიებთან.	1.2.1	სხვადასხვა სახის საფრთხეებთან დაკავშირებული რისკის შეფასებები სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა სექტორებში არის ხელმისაწვდომი
		1.2.2	რისკის შეფასებები დაკავშირებულია კლიმატის შეცვლის ადაპტაციის სტრატეგიებთან.
1.3	რელევანტური ქსელების ჩართვა: ეროვნული რისკის შეფასებები უნდა იყოს მიმართული რელევანტური ქმედებების განხორციელებაზე და ერთიანი შეთანხმებულობის მიღწევაზე რისკის შეფასების მეთოდოლოგიაში, არსებული რისკებთან და მათ პრიორიტეტულობასთან მიმართებით [იგივე მოთხოვნა ვრცელდება რეგიონალურ, ადგილობრივ და სექტორულ რისკის შეფასებებზე]	1.3.1	რისკის შეფასების მეთოდის განვითარდება ხდება რელევანტურ ორგანიზაციებთან, მაგალითად ისეთებთან, როგორცაა მეცნიერული საზოგადოებები, მათს შორის, სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური და გარემოს მეცნიერებები, პრაქტიკოსებთან, ბიზნესებთან, საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანებთან და პოლიტიკის განმსაზღვრელებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.
		1.3.2	ეროვნული რისკის შეფასების პროცესის დაწყებით სტადიაზე უნდა მოხდეს ერთი უფლებამოსილი მხარის შერჩევა, რომელიც კოორდინაციის საქმიანობას გაუძღვება.
		1.3.3	დაინტერესებული მხარეების შეფასება რისკის შეფასების პროცესის დაწყებამდე ხდება და ყოველთვის უნდა განახლდეს (MiSRaR) [დაინტერესებული მხარეები (საჯარო და კერძო და მთავრობის სხვა დონეებზე) უნდა იყვნენ ჩართულები რისკის შეფასების პროცესში და მოწვეულნი, რომ ითანამშრომლონ]
		1.3.4	არსებობს ურთიერთთანამშრომლობა კერძო სექტორთან, სადაც მათი (კერძო სექტორის) რისკის შეფასებები სრულყოფს საჯარო პირების შეფასებებს.
		1.3.5	(ინტერ) ნაციონალური ურთიერთთანამშრომლობის ქსელი მაკრო რეგიონალური რისკის ანალიზის ჩამოსაყალიბებლად უნდა იქნას შექმნილი. მეზობელი ქვეყნები უნდა იქნან ჩართული რისკის

			ანალიზის პროცესში და მათივე რისკის ანალიზების გამოყენება უნდა მოხდეს.
1.4	რისკის შეფასების მეთოდოლოგია: ერთიანი ურთიერთშეთანხმება მიღწეულია რელევანტური რისკის ფარგლებიდან და სიმკაცრის დონიდან გამომდინარე, რომლისთვისაც მზადყოფნა შესაბამისად ჩაითვლება.	1.4.1	რისკის კონცეფცია და მთავარი ფაქტორი, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული რისკის შეფასებისას განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.2	რისკის შეფასების ფარგლები (და კონკრეტული რისკების ჩართვა მის ფარგლებში თუ გამოტოვება) განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.3	რისკების ტიპების კატეგორიზაცია განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.4	რისკის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.5	რისკის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.6	ექსპერტების გამოსაყენებელი მოსაზრებების პროტოკოლები განსაზღვრული და დადასტურებულია
		1.4.7	მეთოდების არამდგრადობა გამართლებულია
1.5	რისკის იდენტიფიცირება: ეროვნული რისკის შეფასება დაფუძნებულია რისკის ზუსტ იდენტიფიკაციასთან: რისკების აღმოჩენა, ცნობა და აღწერა	1.5.1	არსებობს რისკების და განსაკუთრებული ხასიათის რისკების სია, თავიანთი აღწერილობებით
		1.5.2	თითოეული რისკისთვის არსებობს რისკის რუკა, რომელიც აჩვენებს საშიშროების სივრცით განლაგებას და საშიშროების დონეს.
1.6	რისკის ანალიზი: თითოეული რისკისთვის და რისკის სცენარისთვის, რომელიც განსაზღვრულია რისკის იდენტიფიცირების ეტაპზე, რისკის ანალიზის პროცესი გულისხმობს რისკის აღმოცენების მოსალოდნელობის დეტალურ (თუ შესაძლებელია რაოდენობრივ) განსაზღვრას და პოტენციური ზეგავლენის სიდიდეს.	1.6.1	რისკის ანალიზი მოიცავს შესაძლებლობას და ზეგავლენის შეფასებას, ისევე როგორც საშიშროების დონის ანალიზს
		1.6.2	ზეგავლენის ანალიზი მოიცავს ადამიანზე ზეგავლენას, ეკონომიკურ და გარემოზე ზეგავლენას და პოლიტიკურ და სოციალურ ზეგავლენას.
		1.6.3	დამოუკიდებელი ზეგავლენის დონე თითოეული რისკისთვის უნდა იქნას აღრიცხული და უნდა მოხდეს საბაზის დადგენა, უნდა მოხდეს მოსაზრებების განსაზღვრა და დასაბუთება.
		1.6.4	რისკის ანალიზის შედეგი შეიძლება იქნას წარდგენილი რისკის ზეგავლენისა და მოსალოდნელობის მატრიცაში
1.7	რისკის ხარისხის დადგენა: რისკის ანალიზის შედეგები უნდა შედარდეს რისკის კრიტერიუმებთან, იმისთვის, რომ დადგინდეს თუ რამდენად არის რისკი ან და მისი სიდიდე მისაღები და დასაშვები	1.7.1	(პოლიტიკური) რისკის კრიტერიუმები დადგენილია იმისთვის, რომ განისაზღვროს თუ რამდენად არის რისკი ან და მისი სიდიდე მისაღები და დასაშვები
		1.7.2	რისკის დასაშვებობაზე მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილება და ხდება რისკის პრევენციის და მისთვის მომზადების პრიორიტეტის მინიჭება
1.8	შეთანხმებული სისტემა: რისკის შეფასების სისტემა აჩვენებს შეთანხმებულობას	1.8.1	რისკის შეფასება განსხვავებულ სამთავრობო დონეებსა და სხვადასხვა სექტორებში უნდა იქნას

	სახვადასხვა სამთავრობო დონეებისა და სხვადასხვა სექტორების რისკის შეფასებებთან		გათვალისწინებული ეროვნული რისკის შეფასებისას.
		1.8.2	მთავრობა უზრუნველყოფს და ასტიმულირებს რისკის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სხვა დონის სამთავრობო ორგანოებისა და სხვა სექტორებში არსებული ორგანიზაციების მიერ.
2.1	შესაძლებლობების შეფასება: რისკის შეფასებას თან სდევს შესაძლებლობების ანალიზი და შესაძლებლობების დაგეგმარება.	2.1.1	უნდა არსებობდეს გეგმა ან პროგრამა იმისთვის, რომ განხორციელდეს შესაძლებლობების ანალიზი და განვითარდეს შესაძლებლობების დაგეგმარება ეროვნული რისკის შეფასების საფუძველზე.
2.2	რეკომენდაციები: რისკის შეფასება საბოლოო ჯამში იღებს რეკომენდაციების სახეს შესაბამის სფეროების სამოქმედო გეგმებისთვის (თუ ეს რელევანტურია)	2.2.1	მიწის გამოყენების დაგეგმარებისთვის
		2.2.2	შენობა - ნაგებობების დიზაინის კრიტერიუმების დადგენისას
		2.2.3	საზოგადოებრივი კატასტროფისშემცირების / დეცენტრალიზაციის რისკის პრევენციის პოლიტიკისთვის
		2.2.4	ქიმიური პროცესების და შენობების უსაფრთხოების წესების დადგენის პროცესისთვის და მდგრადი განვითარების სასოფლო სამეურნეო პროცესების დიზაინისთვის
		2.2.5	კრიტიკული ინფრასტრუქტურის დიზაინისა და კეთილმოწყობისთვის
		2.2.6	მონიტორინგისა და აღსრულებისთვის
		2.2.7	ეროვნული და დეცენტრალიზებული რეაგირების გეგმარებისთვის
2.3	იმპლემენტაცია / განხორციელება: რეკომენდაციების იმპლემენტაცია უზრუნველყოფილია; რელევანტური დაინტერესებული მხარეები არიან ჩართულნი	2.3.1	აღსრულების გეგმის ან პროგრამის შესახებ მიიღწევა შეთანხმება
		2.3.2	არსებობს ურთიერთკავშირი სხვადასხვა გეგმებს შორის (ეროვნული, დეცენტრალიზებული, სექტორული)
3.1	რისკის კომუნიკაცია: პოტენციური რისკები გამოქვეყნებულია, საზოგადოების ინფორმირებისთვის	3.1.1	რისკის შეფასება გამოქვეყნებულია საჯაროდ და საზოგადოებისთვის არის ხელმისაწვდომი
		3.1.2	ზოგიერთი რისკის შესახებ სპეციფიკური ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას (ზოგიერთ ადგილებში)
		3.1.3	რისკის შეფასების გამოქვეყნება მათ შორის გულისხმობს მთავრობის მოსამზადებელი ზომების მიმოხილვასაც
		3.1.4	რისკის შეფასების გამოქვეყნება მათ შორის გულისხმობს რჩევების გამოქვეყნებას, იმისთვის, რომ საზოგადოების უმეტესობა იყოს უკეთ მომზადებული
		3.1.5	კომპეტენტური საჯარო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, ეროვნული რისკის შეფასებიდან რომელი ინფორმაცია შეიძლება იყოს სენსიტიური, იმისთვის, რომ გამოქვეყნდეს
3.2	დაინტერესებული მხარეების კონსულტირება: რისკის შეფასების	3.2.1	რისკის შეფასება გამოქვეყნებულია და გამოცხადებული საკონსულტაციოდ

	პროექტები უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული, მათ შორის ცენტრალურ და რეგიონალურ სამთავრობო დონეებთან და სპეციალიზებულ დეპარტამენტებთან (RAMG p.13)	3.2.2	დაინტერესებული მხარეები არიან ინფორმირებულნი კონკრეტული რისკის საშიშროებასთან დაკავშირებით
		3.2.3	დაინტერესებული მხარეებთან ტარდება კონსულტაციები წყალდიდობის რისკის მართვის გეგმებთან დაკავშირებით დრენაჟის სკალაზე
		3.2.4	წყალდიდობის რუკები და გეგმები არის საჯარო ხელმისაწვდომი
4.1	ფარგლები: რისკის შეფასება შეესაბამება ზოგადად არსებულ ჩარჩოებს.	4.1.1	იხ. მოთხოვნა 1.1
4.2	კოორდინაცია: რისკის მართვის სტრუქტურა აწესებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს ყველა სტრუქტურისთვის, რომელიც ჩართულია რისკის შეფასებაში, იმისთვის, რომ გადაფარვები და შეუსაბამობები პასუხისმგებლობებში და შესაძლებლობებში იქნას თავიდან აცილებული.	4.2.1	არსებობს ნათლად გამოხატული ვალდებულებები და როლები / ფუნქციები ყველა რელევანტური სტრუქტურისთვის, რომელიც ჩართულია რისკის შეფასებაში
		4.2.2	სპეციფიური რისკების შეფასებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები ეკისრებათ რელევანტურ სტრუქტურებს
		4.2.3	სექტორული რისკის განზომილებები უნდა იყოს ჩართული რისკის შეფასებებში
4.3	ექსპერტიზა: ექსპერტებს, რომლების ატარებენ რისკის შეფასებას აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და პასუხისმგებლობები და მიიღეს ადეკვატური ტრენინგები იმისთვის, რომ განახორციელონ რისკების შეფასება	4.2.1	პასუხისმგებლობების დაკისრება რისკების რელევანტური შეფასებისთვის გადაიხედება
		4.2.2	რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელი ექსპერტები არიან ადეკვატურად ინფორმირებული, დატრენინგებული და გამოცდილები რისკის შეფასებისთვის
4.4	სხვა დაინტერესებული მხარეები: სტრუქტურები, რომლებიც არიან ჩართული რისკის შეფასებისას, ურთიერთ თანამშრომლობენ დიდი ოდენობით დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კერძო სექტორებთან, აკადემიებთან და სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან, რომლების არაპირდაპირ არიან ჩართული რისკის შეფასების პროცესში	4.4.1	რელევანტური სტრუქტურები ჩართულნი არიან რისკის შეფასების პროცესში
4.5	ინფორმაცია და კომუნიკაცია: ეფექტური ინფორმაციის მიწოდების და კომუნიკაციის სისტემა რისკის შეფასებისთვის არის უზრუნველყოფილი	4.5.1	საჭირო ადმინისტრაციული შესაძლებლობა არის უზრუნველყოფილი იმისთვის, რომ მოხდეს შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის
		4.5.2	საჭირო ადმინისტრაციული შესაძლებლობა არის უზრუნველყოფილი ეროვნულ ან / და შესაბამისი სუბ ნაციონალურ დონეზე იმისთვის, რომ მოხდეს ინფორმაციის გაცვლა რისკების შეფასების საბოლოო შედეგების შესახებ, მათ შორის სცენარებზე და ა.შ.
		4.5.3	რისკის შეფასების შედეგები ჩართულია რისკის კომუნიკაციის სტრატეგიაში

4.6	<p>მეთოდოლოგია: მეთოდოლოგია შემუშავებულია იმისთვის, რომ მოხდეს რისკის შეფასება. იდენტიფიცირებული რისკების მოსალოდნელი ზეგავლენები შეფასებულია შემუშავებული მეთოდოლოგიის ფარგლებში და მინიჭებული აქვთ შესაბამისი პრიორიტეტულობა</p>	4.6.1	ეროვნული ან სუბ ნაციონალური სტრუქტურები შეიმუშავებენ რისკის შეფასების მეთოდოლოგიას
		4.6.2	სასაზღვრო რისკების შეფასებები ჩართულია რისკის შეფასებაში
		4.6.3	რისკის შეფასება მოიცავს რისკის შეფასების ინფრასტრუქტურას
4.7	<p>ინფრასტრუქტურა: ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია რისკის შეფასებისთვის</p>	4.7.1	ICT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია რისკის შეფასებისთვის
		4.7.2	შესაბამისი ინფორმაცია და მონაცემები (მათ შორის ისტორიული მონაცემები) ხელმისაწვდომია რისკის შეფასებისთვის
4.8	<p>ფინანსური მხარე: ფინანსური მხარე მოიცავს საჭირო ფონდების იდენტიფიცირებას, განსაზღვრას და რეზერვაციას რისკის შეფასებისთვის და რისკის შეფასების სამუშაოების განახლებისთვის</p>	4.8.1	შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობები ხელმისაწვდომია რისკის შეფასებისთვის და რისკის შეფასების სამუშაოების განახლებისთვის
5.1	<p>ადრეული შეტყობინების სისტემები თავის კომუნიკაციებთან ერთად განთავსებულია ყველა მთავარ საშიშ ზონებში</p>	5.1.1	ადრეული შეტყობინების სისტემა: საშიშროების აღმოჩენა, მონიტორინგი და პროგნოზირება სახელმწიფოში არის უზრუნველყოფილი (შტორმის, მიწისძვრის, ცუნამის, რადიაციის მონიტორინგი)
		5.1.2	გაგრძელება: ადრეული შეტყობინების კომუნიკაციის სისტემა უეცარი ევექტის მქონე რისკებისთვის არის დამონტაჟებული (EWS - შეტყობინების სისტემა, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მობილურ ტელეფონზე შეტყობინება, სირენები). სისტემა დაგეგმილია განგაშის შკალის შესაბამისად, არის სტანდარტიზებული, დახვეწილი და ამოცნობადი ყველასთვის. სისტემა გამუდმებით ძლიერდება საჭიროებებიდან გამომდინარე.
		5.1.3	საგანგებო სიტუაციის დაგეგმარება: საგანგებო სიტუაციის დაგეგმარება აქტივირებულია ადრეული შეტყობინებების საფუძველზე
		5.1.4	კოორდინაცია: ადრეული შეტყობინების სისტემა შემუშავებულია ტექნიკური ორგანიზაციების წარმომადგენელი საერთაშორისო დაინტერესებული პირების და საბოლოო მომხმარებლების კოორდინაციით